# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 ნოემბერი 2001 №224 (1497) ფასი 50 თეთრი



„დეპორტივოსთან“ წაგებული „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი



„რეალის“ ინგლისელი ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი და „სპარტას“ მეკარე პეტრ ჩეხი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ნისლისფერი განშორება



გუშინ ტურინში: მარჩელო ლიპის „იუვენტუსს“ დანისლულ „დელე ალპიზე“ მხოლოდ ვარჯიში შერჩა

შვეიცარიელმა არბიტრმა ურს მაიერმა, საკუთარ ცხვირს ვერ ვხედავ და თქვენი თამაში როგორღა განვსაჯოო და მატჩის გადადება ბრძანა. ტურინის „დელე ალპი“ მართლაც ისე იყო დანისლული, მაიერის გადაწყვეტილება ყველამ მოიწონა. შვეიცარიელს სიტყვა უეფას დელეგატმაც შეაშველა და „იუვენტუსი“ – „ბაიერის“ შეხვედრის თარიღად 28 ნოემბერი დათქვა. ამასობაში კი ლა კორუნიაში, ათენსა და პრაღაში დიდი ამბები ხდებოდა. „დეპორტივოსთან“ სტუმრად სათამაშოდ „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა ახლახან მოშუშებული ტიერი ანრიც იახლა, მაგრამ ლონდონელთა სალიგო ამბიციის განელება ირურეტას ბიჭებმა იოლად მოახერხეს. ესპანელები 25-ე წუთზე როი მაკაის და დიეგო ტრისტანის გოლებით 2:0 იგებდნენ და სამი ქულის მითვლაც აღარ გასჭირვებიათ.

ბერძნული „პანათინაიკოსი“ ბევრს კი ეცადა, მეორე ჯგუფური ეტაპიც გამარჯვებით დაეწყო, მაგრამ „პორტუს“ ათენიდან პირველი „საგარეო ქულა“ გაატანა. პრაღის „სპარტა“, მართალია, ფიგუ-ზიდანიან „რეალთან“ 2:3 დამარცხდა, თუმც გუშინაც დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე შემთხვევით არ თამაშობს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩები უდანაკარგოდ მხოლოდ ესპანელებმა გაიარეს, გუშინწინ „ბარსელონამ“, გუშინ კი „დეპორტივომ“ და „რეალმა“.

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური. გუშინ

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი 0:0 პორტუ**

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, პაულუ სოუზა (კოლკა 80), ოლისადებე (ვლაოვიჩი 80), მიკაელსენი (ლიბეროპულოსი 69), კირიაკოსი, კონსტანტინუ, ბასინასი, კარაგუნისი, ფისასი

მწვრთნელი: იოანის კირასტასი

პორტუ: სანტუში, კარვალიუ, პარედესი, კოშტინია (რუბენს ჟუნიორი 90), დეკო სოუზა, ანდრადე, იბარა, ნუნუ კაპუშუ, კლეიტონი (სოდერსტრომი 78), მარიუ სილვა, პენა (რიკარდუ სილვა 86)

მწვრთნელი: ოქტავიუ მაჩადუ

გაფრთხილება: პარედესი, კოშტინია, პენა, სანტუში

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

17 200 მაყურებელი

**სპარტა 2:3 რეალი**

0:1 ზიდანი (20), 1:1 მიხალიკი (30), 1:2 მორიენტესი (36), 2:2 სიონკო (72), 2:3 მორიენტესი (73)

სპარტა: ჩეხი, ლაბანტი, ფლახბარტი, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, სიონკო, პაშეკი (სლონჩიკი 71), იაროშიკი, მიხალიკი (ზელენკა 52), პარტიგი (ბაბუშეკი 78), კინცლი

მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი

რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ელგერა, მაკელელე, ფიგუ (გუტი 89), ზიდანი, რაული, მორიენტესი (მაკმანამანი 85)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)

19 156 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| პორტუ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პანათინაიკოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |

### D ჯგუფი

**იუვენტუსი — ლევერკუზენი**

ნისლის გამო გადაიდო და გაიმართება 28 ნოემბერს

**დეპორტივო 2:0 არსენალი**

1:0 მაკაი (9), 2:0 ტრისტანი (25)

დეპორტივო: მოლინა, სკალონი, დონატო, ნაიბეტი, რომერო, ვიქტორი, ემერსონი, მაურო სილვა, ვალერონი (ჯალმინია 73), ტრისტანი (ამავისკა 28), მაკაი (პანდიანი 49)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

არსენალი: რ. რაიტი (ს. ტეილორი 46), ლორენი, კემპბელი, აშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ვან ბრონკჰორსტი (ედუ 78), პირესი, ანრი, ვილტორდი (კანუ 73)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ვიქტორი, ანრი, ლორენი, აშლი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლევერკუზენი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| იუვენტუსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |



სპარტა — რეალი. ლუიშ ფიგუმ (მარჯვნივ) პრაღაშიც ჩაიდრიბლინგა



დეპორტივო — არსენალი. სტუმარმა პატრიკ ვიეირამ (წინა პლანზე) და მასპინძელმა ემერსონმა ითავბურთეს



პანათინაიკოსი — პორტუ. სოტირის კირიაკოსმა მკვრატელათი სცადა გატანა



ფერნანდო მორიენტესმა პრაღა დუბლით დატოვა



ტურინში მატჩის გადადება შვეიცარიელმა მსაჯმა ურს მაიერმა (მარცხნივ) ბრძანა

### ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

ჯილინგემი 3:0 კრისტალ პალასი

II დივიზიონი

XIX ტური

ქუინზ პარკი 4:0 სუინდონი

სტოკ სიტი 0:0 ოლდემი

ბრაიტონი 1:1 პიტერბრო

### პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი

I მატჩი

ლკს 2:2 ვისლა

პლოცკი 1:0 სვიტი

ამიკა 0:1 გროცლინი

### იტალია

სერია B

გადადებული მატჩები

ბარი 1:0 სიენა

რეჯინა 0:0 მესინა

სამპდორია 2:1 ჩიტადელა

### ავსტრია

გადადებული მატჩები

შტურმი 1:1 ადმირა

ბრეგენცი 2:2 ბრაცერი

კერნტენი 1:1 ზალცბურგი

### შვეიცარია

თასის მერვედფინალი

ასკონა 0:2 აარაუ

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. A ჯგუფი

# ბრაუნი რის ბრაუნია: ცხადია, შეცდა

**ბაიერნი 1:1 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროოი (74), 1:1 სერჟიო (87)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ეფენბერგი (სფორცა 67), სერჟიო, ელბერი (იანკერი 67), პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, ბლანი, ირვინი (სილვესტრი 46), ბექჰემი, ვერონი, კინი, ფორჩუნი, სქოულზი, ვან ნისტელროოი (იორკი 83)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბრაუნი, ბლანი, სერჟიო
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
59 000 მაყურებელი

**თუ მიზეზთა გამო** „ოლიმპიაშტადიონზე" გამართული მატჩი ნახეთ, „ენფილდზე" ჩატარებული კი ვერა, კმაყოფილი არ უნდა იყოთ, რაკი „ბაიერნ" — „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრაში მონაწილეთა მჟვირალა სახელების გარდა საინტერესო ბევრიც არაფერი ყოფილა.

ალექს ფერგიუსონმა ერთი ნომინალური თავდამსხმელით (რუუდ ვან ნისტელროოი) ამჯობინა თამაში, ამას მატჩისწინა ვარჯიშზე რაიან გიგზის ტრავმაც დაერთო, რამაც „იუნაიტედის" შემტევი პოტენციალი რამდენადმე შეამცირა. პირველ ტაიმში სტუმრებს ფაქტობრივად, ერთადერთი ხეირიანი მომენტი ჰქონდათ, როცა დევიდ ბექჰემის ჩაწოდებულ საჯარიმოს კვინტონ ფორჩუნმა თავი დაუხვედრა და ოდნავ ააცილა.

მაინცდამაინც არც „ბაიერნს" გამოუდია თავი, შესვენებამდე უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ გოლად ვერ აქცია. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: ერთი, რომ ფაბიენ ბარტეზი, ბოლო პერიოდისგან განსხვავებით, ძალიან საიმედოდ თამაშობდა და მეორეც, შტეფან ეფენბერგმა მასზე დაკისრებული გამთამაშებლის მოვალეობა რიგიანად ვერ შეასრულა. მატჩის შემდეგ ოტმარ ჰიცფელდმა კაპიტანზე თქვა: „შტეფანს თამაში ცუდად არ დაუწყია, თუმც მოგვიანებით დიდი ხნის უთამაშებლობამ მაინც იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, არ მესმის მაყურებლისა, რომლებმაც მას დაუსტვინეს".

მეორე ტაიმში ვითარება შეიცვალა, „მანჩესტერი" გააქტიურდა, თუმც სახიფათო მომენტები კვლავაც ცოტა იყო. გადამწყვეტი კი ფერგიუსონის ჭკვიანური შეცვლა გამოდგა, რომელმაც დენის ირვინი მიკაელ სილვესტრით შეცვალა. ფრანგმა თავისი ფლანგიდან დაიწყო შეტევა, გვარიანად წინ წავიდა, მიუნხენელთა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც რუუდ ვან ნისტელროოი ბურთს ელოდა და ფეხის ერთი მოქნევალა დარჩენოდა, რაც, მოგეხსენებათ, არ ეშლება და ანგარიში გაიხსნა — 0:1.

მალა ჭამაში მოდისო და 86-ე წუთზე „მანჩესტერმა" კინაღამ მეორეც გაიტანა — როი კინმა ხარიხას გაარტყა. არადა, ეს რომ გასულიყო, „ბაიერნი" უშანსოდ დარჩებოდა, მაგრამ რაკი ოლივერ კანს დამხმარედ ძელი გამოუჩნდა, ლამის 1999 წლის ლეგენდად ქცეული ფინალის გამეორება ვნახეთ: 87-ე წუთზე პაულო სერჟიომ უესლი ბრაუნისა და სილვესტრის შეუთანხმებლობით ისარგებლა და გაათანაბრა. კიდევ წუთიც და ოუენ ჰარგრივსის დარტყმულს ბარტეზი გმირულად გადაეფარა, თორემ...

„მიუნხენში ფრე თავისთავად ცუდი შედეგი არ არის — თქვა ფერგიუსონმა — მაგრამ მოსაგები მატჩი ბოლო წუთებზე ფრედ რომ გექცევა, როგორ შეიძლება, კმაყოფილი იყო. სამწუხაროდ, დაცვის პრობლემა ვერაფრით მოვაგვარეთ".

ოტმარ ჰიცფელდის კომენტარი კი ამის საპირისპირო იყო.



ბაიერნი — მანჩესტერი. პაულო სერჟიოს გოლმა მიუნხენელები სირცხვილისგან იხსნა

REUTERS

**ბოავიშტა 1:0 ნანტი**

1:0 სანჩესი (24)
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი (მარტელინიუ 19), ფრეშაუ, ერივენი, პაულუ ტურა, მარიუ, სანჩესი, ბოსინგვა (პედრუ სანტუში 58), ალეშანდრე (ჟორჟე სილვა 63), დუდა, ელპიდიუ სილვა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
ნანტი: ლანდრო, ლასპალი, ფაბრი, ჟილე, არმანი, და როშა, ბერსონი, ოლემბე (ზიანი 77), დელოშო, აჰამადა (ვაირუა 67), ანდრე (ც. დალმა 67)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ბერსონი, ლასპალი, ზიანი, სანჩესი, და როშა
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
21 000 მაყურებელი

**„ბოავიშტამ"** ჩვენც მოგვატყუა, ... არაფერი, ჰთავარია, რომ „ნანტიც" მოტყუვდა. აი, რას ვგულისხმობთ: მატჩის წინა დღეს ითქვა, რომ პორტუგალიელთა ბოლივიელი გამთამაშებელი ერვინ სანჩესი დამტვრეულა და ვერ ითამაშებსო. ზედ მატჩის დაწყების წინ კი გაირკვა, რომ ხმები სანჩესის უძლურების თაობაზე გადამეტებულია — ის მართლაც იყო დაშავებული, მაგრამ დროულად მომჯობინდა.

მერე კი, 24-ე წუთზე, ასეთი რამ მოხდა: მასპინძელთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ელპიდიუ სილვამ უმეთვალყურეოდ მიტოვებული სანჩესი შენიშნა და გრძელი პასი მისცა, ბოლივიელმაც თხუთმეტიოდე მეტრიდან ლონივრად მოიქნია. ფრანგთა მეკარე მიკაელ ლანდრომ მოგერიება კი მოახერხა, მაგრამ ბურთი, საკმაოდ უცნაური ტრაექტორიით, მის კარში აღმოჩნდა.

სხვათა შორის, გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე ჟაიმე პაშეკუმ „ბოავიშტას" შეტევის ხაზი გააძლიერა, როცა მცველი რუი ოსკარი გარემარბ ჟოაკიმ მარტელინიუთი შეცვალა.

საერთოდ კი, პაშეკუმ თავის საყვარელ და ნაცად სისტემას მიმართა — თავდასხმაში ელპიდიუ სილვა და კარლუშ დუდა ჰყავდა გამწესებული, რომელთა პასებით მომარაგება სანჩესს ევალებოდა. მაგრამ ისიც აღვნიშნოთ, რომ ნაღდი საგოლე მომენტი ერთი-ორი თუ შეიქმნა და მაშინაც მეკარეები, ლანდრო და რიკარდუ ბურთს ფეხით იგერიებდნენ.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა განაცხადა, სანახაობრივად ვერაფერი თამაში იყო, ჩვენც და მეტოქეც ძირითადად დაცვაში ხვრელების ამოვსებაზე ვფიქრობდითო.

ფრანგთა თავკაცმა რეინალდ დენიომ კი შენიშნა, პირველივე მატჩში დამარცხება სასიამოვნო სულაც არ არისო.

ჩვენ ისლა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ბოავიშტას" გალიდერება დროებითი მოვლენაა — „ბაიერნთან" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" ხომ ჯერ არ უთამაშია.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბაიერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნანტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. B ჯგუფი

# ბარსელონამ ბურთი გაასტოცხლა, ლივერპული მოკლა

**ლივერპული 1:3 ბარსელონა**

1:0 ოუენი (27), 1:1 კლუივერტი (41), 1:2 როჩემბაკი (65), 1:3 ოვერმარსი (84)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ანშო, რიისე, შმიცერი (ლიტმანენი 79), ჯერარდი, მაკალისტერი (ბერგერი 69), მერფი, ოუენი, ჰესკი (ფაულერი 66)
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, ბ. ანდერსონი, კოკო, კრისტენვალი, ხავი, კოკუ, გაბრი (როჩემბაკი 57), ლუის ენრიკე (ოვერმარსი 17), რივალდო, კლუივერტი (რაიციგერი 88)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, გაბრი, დე ბური
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
41 521 მაყურებელი

**სამშაბათ** საღამოს კატალონიურმა „ბარსელონამ" „ენფილდზე" ფანტასტიკური წარმოდგენა გამართა და ამბიციური „ლივერპული" საბავშვო ბაღს დაამსგავსა. ასეთი უსუსური „წითლები" კარგა ხანია აღარავის ახსოვს. არადა, მასპინძელთათვის თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. ისინი ჟინიანად, მწყობრად თამაშობდნენ და კაცი იფიქრებდა, მართლაც ძალიან მაგრები არიან და წლევანდელ ლიგაში წინ ვერავინ დაუდგებათო. ოუენის გოლმა ეს აზრი კიდევ უფრო გაამყარა. შმიცერმა საუცხოო პასით „ბიჭუნა" მეკარე ბონანოსთან პირისპირ გაიყვანა და ამანაც ყველაფერი ჩვეული სისხარტით მოამთავრა, სისწრაფეში ბურთი წამში მოათვინიერა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო.

მალევე „ბარსელონა" მეორე გოლს გადაურჩა, ჰესკიმ საჯარიმოში მცველებს ბრძოლა მოუგო და ახლოდან დაარტყა, მაგრამ კოკომ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

ნელ-ნელა სტუმრებიც მოშინაურდნენ. ლივერპულელთა პოლონელმა მეკარე დუდეკმა ერთიორი რთული ბურთიც მოიგერია. ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი მოსახდენი მაინც მოხდა. მასპინძლებმა ხელოვნური თამაშგარე უხეიროდ შეასრულეს და კლუივერტმაც ვარდნაში ულამაზესი გოლი გაიტანა.

გადამწყვეტი სცენა კი 61-ე წუთზე გათამაშდა, ოუენმა მცველებიც ჩამოიცილა და მეკარეც, მაგრამ დაუცველ კარს სადღაც 6-7 მეტრიდან ააცილა. აი, მერე კი დაიწყო ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. „ბარსელონა" საოცრად ათამაშდა და „ლივერპული" ბურთს აღარ გააკარა. უპირატესობა იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ „ენფილდის" მუდამ მომღერალი ტრიბუნებიც კი მიჩუმდა. 65-ე წუთზე კატალონიელთა მრავალსვლიანი კომბინაცია როჩემბაკის მოჭრილი დარტყმით და მეორე გოლით დამთავრდა.

„ლივერპულის" დროებითმა მწვრთნელმა ფილ ტომპსონმა მდგომარეობის გამოსწორება შეცვლებით სცადა. მინდორზე ფაულერი, ბერგერი და ლიტმანენი გაიყვანა, მაგრამ „ბარსას" შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ისინი კი არ იგებდნენ, უბრალოდ მასხრად იგდებდნენ აბსოლუტური უმოქმედობისთვის განწირულ ბრიტანელებს. მესამე კი ისეთი გაიტანეს, ჩემპიონთა ლიგაში, ალბათ, ანალოგი რომ არ მოეძებნება. საკუთარ ნახევარზე კარგა ხანს ათამაშებდნენ ბურთს და მასპინძლებს ახლოც არ უშვებდნენ. დროის ამ მონაკვეთში ოცდაათზე მეტი ზუსტი გადაცემა შეასრულეს, მერე უცებ წინ წასული ოვერმარსი მოძებნეს და დუდეკის პირისპირ დარჩენილ ჰოლანდიელს გატანა აღარ გასჭირვებია...

„ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დავამარცხეთ და ჩვენი ნამდვილი ძალა გამოვაჩინეთ — თქვა მერე „ბარსელონას" მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმა — ეს გამარჯვება უპირველესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოგვადგება. სწორედ ასეთი თამაშის მოგება გვჭირდებოდა. ვფიქრობ, ამის მერე ევროპაში კიდევ უფრო დაგვაფასებენ".

ფილ ტომპსონმა კი ესლა დასძინა: „პირველი ტაიმის ბოლოს ჰესკის რომ გაეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. გოლი ჩვენ გაგვიტანეს და მერე ინიციატივაც წაგვართვეს. „ბარსელონა" შარშანდელზე ბევრად ძლიერია და დღეს დამსახურებულად გაიმარჯვა".

ასე გაუსწორდნენ კატალონიელები „ლივერპულს" შარშან უეფას თასის ნახევარფინალში დამარცხებისთვის. ეს მერსისაიდელთა პირველი წაგება გახლდათ წლევანდელ ლიგაში.



ლივერპული — ბარსელონა. ფილიპ კრისტანვალის „ბარსელონა" მაიკლ ოუენს და მისიანებს გადაახტენ

REUTERS

**გალათასარაი 1:1 რომა**

1:0 პერესი (22), 1:1 ემერსონი (90)
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთ ქორქმაზი, ემრე ასიქი, კაპონე, ბიულენთ აკინი (ფლურკინი 46), ჰაქან უნსალი, სერგენი, პერესი, აიჰანი, ჰასან საში, უმით კარანი (არიფი 88)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
რომა: ანტონიოლი, კაფუ, ალდაირი, ძებინა (ფუზერი 81), სამუელი, ლიმა (ასუნსაო 74), კანდელა, ემერსონი, ტომაზი (კასანო 46), ტოტი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ემრე ასიქი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
22 000 მაყურებელი

**თავის** „ალი სამი იენის" გადარეულ სტადიონზე „გალათასარაის" ცოტა დააკლდა იტალიის ჩემპიონის ბეჭებზე დასაგდებად. პირველი ნახევრის შუაში პერესის გოლით დაწინაურებული თურქები მერეც ბევრს უტევდნენ, მაგრამ უპირატესობა ველარ გაზარდეს.

„რომას" მოშუშებული არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა დაუბრუნდა, ვინც ტაიმის ბოლოს კინაღამ საპასუხო გაიტანა. თუმცა რომაელები მეორე სამხრეთამერიკელმა, ბრაზილიელმა ემერსონმა გადაარჩინა, რომელმაც ბოლო წუთზე მაკრატელათი ულამაზესი გოლი შეაგდო.

„ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ პირველ ტაიმში დასანანი შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ, ბოლოს კი დავამტკიცეთ, რომ ბრძოლა შეგვიძლია" — განაცხადა რომაელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ. მისი კოლეგა მირჩა ლუჩესკუ ცხადია უკმაყოფილო იყო: „ჩემს ფეხბურთელებს ძალა არ ეყოთ. საპასუხო გოლი მონდრაგონის და ფლურკინის შეუთანხმებლობის გამო გავუშვით".

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლივერპული | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## უეფას თასი. მერვედფინალი
პირველი მატჩები

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 2:1 ლოკომოტივი (რუსეთი)
1:0 ოსტერცი (42), 1:1 იზმაილოვი (55), 2:1 ა. დომბი (89)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ობიორა, ლოსკოვი, ჩერევჩენკო, სენნიკოვი, ობრადოვიჩი, პიმენოვი (სარქისიანი 83)
ზაზა ჯანაშია განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: იური სიომინი
გაძევება: ჩერევჩენკო (90)
14 000 მაყურებელი
ბორდო (საფრანგეთი) 1:0 როდა (ჰოლანდია)
1:0 პაულუ მირანდა (49)

# ცურვა-ცოცვით თასისკენ


REUTERS

ბორდო — როდა. კისტოფ დიუგარის არყოფნაში ფრანგთა ლიდერობა პაულუ მირანდამ ითავა

**„ჩელსი"** ოკეანე იყო, რომელიც გადავცურეთ. „ლოკომოტივი" კი ევერესტია — მაღალი და ცივი" — ასე თქვა „ჰაპოელის" პრეზიდენტმა, რომელიც გარდა იმისა, რომ თავის საქმის კარგი მცოდნეა, მხატვრული სიტყვის ოსტატიც ყოფილა. მან ეს თელ ავივში, „ჰაპოელისა" და „ლოკომოტივის" მატჩისწინა პრესკონფერენციაზე წარმოთქვა. ეტყობა, ებრაულ გუნდს შორ მანძილზე ცურვა და მწვერვალებზე ცოცვა კარგად ეხერხება.

ორი კვირაა, რაც რუსეთის ჩემპიონატი დასრულდა, რის გამოც მოსკოველებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, „ჰაპოელს" კი „ჩელსის" დამარცხების შემდეგ ფრთები გამოესხა. რუსებმა თამაშის დაწყებისთანავე ინიციატივა მასპინძლებს დაუთმეს და მათ კონტრშეტევებზე გამოჭერას ლამობდნენ. შეხვედრა საშუალო ტემპში მიმდინარეობდა, ამიტომ სახიფათო მომენტები ორივე კართან იშვიათად იქმნებოდა.

რომ არა „ლოკომოტივის" სამხრეთაფრიკელი ლეგიონერის, ლეკხეტოს პოზიციური შეცდომა, პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდებოდა. მან რატომღაც უყურადღებოდ მიატოვა მასპინძელი ბახარა, ამ უკანასკნელს კი მილან ოსტერცისთვის გამოზომილი პასის გაკეთება არ გასჭირვებია. ოსტერცმაც ვარდნაში თავით გაუტანა ნიგმატულინს.

შესვენების შემდეგ, თამაშის განახლებიდან ათიოდ წუთში, მარატ იზმაილოვმა საპასუხო გაიტანა. იზმაილოვი „ჩელსისთან" მატჩის გმირ ელიმელეხთან პირისპირ გავიდა და ჰასელბაინკისგან განსხვავებით, ბურთი კარში შეაგდო.

ამ მომენტიდან გუნდებმა ზურგები მოიშიშვლეს და ორმხრივი შეტევებით გაერთვნენ. სტუმარ-მასპინძლებს ანგარიშის შეცვლის საშუალება რამდენჯერმე ჰქონდათ, მაგრამ ხან ძელს არტყამდნენ, ხანაც ხარიხას.

მერე იყო ისევ ლეკხეტო. მან სრულიად უწყინარ ვითარებაში ზედმეტად იაქტიურა, რასაც ოსტერცის წაქცევა და რუსთა კარში პენალტი მოჰყვა. გერშონმა ნიგმატულინს ვერ აჯობა: „ლოკომოტივის" მეკარეს „ჩელსისთან" მისი შესრულებული თერთმეტმეტრიანი უნახავს. მაშინაც იმავე კუთხეში დაარტყა, ოღონდ მაღლაო, იტყვის შეხვედრის დასრულებისას მოსკოველთა კარის დარაჯი. ეს მეორე ტაიმის შუაწელში მოხდა, მაგრამ „ჰაპოელმა" ლონდონელებსაც ხომ მატჩის მიწურულს გამოჰგლიჯა გამარჯვება. ჰოდა, თითქმის ყველაფერი დასრულებული იყო, როცა მასპინძელმა დომბმა ახლო მანძილიდან გამარჯვებისა გაიტანა, თუმცა რუსებს შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვთ.

მეორე შეხვედრაში, რომელიც „ბორდოსა" და „როდას" შორის გაიმართა, მასპინძლებმა ერთადერთი გოლის გატანა მოახერხეს და საკმაოდ რთული საპასუხო შეხვედრა ელით ჰოლანდიაში.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიასთან ამხანაგურ მატჩში მძიმედ დაშავდა ბორდოელი კრისტოფ დიუგარი, რომელიც გუნდის ძირითადი ფორვარდია. „ბორდო" ოდენ ერთ გოლს, ალბათ, ამიტომაც დასჯერდა.

**გაგა ხუციშვილი**

# მილანს ახსოვს ქარდელი: დაურტყამს, გაუტანია...

## უეფას თასი
UEFA CUP — მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს — UEFA CUP

| | | |
|---|---|---|
| პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) | – | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) |
| ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) | – | ფრაიბურგი (გერმანია) |
| სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) | – | მილანი (იტალია) |
| პსჟ (პარიზი, საფრანგეთი) | – | გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) |
| კოპენჰაგენი (დანია) | – | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) |
| ფიორენტინა (ფლორენცია, იტალია) | – | ლილი (საფრანგეთი) |
| ვალენსია (ესპანეთი) | – | სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) |
| სერვეტი (ჟენევა, შვეიცარია) | – | ჰერტა (ბერლინი, გერმანია) |
| იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) | – | ინტერი (მილანი, იტალია) |
| აეკ (ათენი, საბერძნეთი) | – | ლიტექსი (ლოვეჩი, ბულგარეთი) |
| გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია) | – | ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) |
| ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია) | – | პარმა (იტალია) |
| ლიბერეცი (ჩეხეთი) | – | მალიორკა (ესპანეთი) |
| ბრიუგე (ბელგია) | – | ლიონი (საფრანგეთი) |

**მას შემდეგ**, რაც ჩემპიონთა ლიგაში ქართველი აღარავინ დარჩა, ჩვენებურებს უეფას თასზეღა ვგულშემატკივრობთ.

მწვრთნელშეცვლილი „მილანი" თავის პირველ მატჩს ლისაბონის „სპორტინგთან" გამართავს. პორტუგალიური გუნდი „სან სიროსთვის" იმითაც იქნება საინტერესო, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდება მარიო ჟარდელი. შეგახსენებთ, რომ მას „მილანისთვის" „პორტუსა" და „გალათასარაიში" თამაშისას გაუტანია გოლები. ასე რომ, ბრაზილიელ ფორვარდს მილანში სტუმრობა კარგად აქვს დაცდილი. კარლო ანჩელოტის კი „პიაჩენცასთან" წაფორხილების შემდეგ საკუთარი ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენა მოუწევს.

ლიგიდან გაძევებულ „ფეიენოორდს" „ფრაიბურგი" ესტუმრება. ჰოლანდიელთა ავსტრალიელი ნახევარმცველი ბრეტ ემერტონი, რომელზეც თქვეს, „ლიდსში" გადადისო, აცხადებს, ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლიაო. საზოგადოდ კი „ფეიენოორდი" საბრძოლველადაა განწყობილი და გერმანულ გუნდს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს.

შოთა არველაძის „რეინჯერსს" და მიხეილ აშვეთიას „კოპენჰაგენს" კენჭისყრამ საკმაოდ ძლიერი გუნდები, პსჟ და დორტმუნდის „ბორუსია" არგუნა. ორივე შინაურ კედლებში გამართავს პირველ მატჩებს და ალბათ, იქვე შეეცდება საჭირო შედეგის მიღწევას, თუმცა ამის გაკეთება იოლი ნამდვილად არ იქნება. „რეინჯერსმა" და „კოპენჰაგენმა" ეს ეტაპი თუ გადალახეს, მომავალ წელს ჩვენებურებსაც მიეცემათ თავისი გუნდების დახმარების საშუალება, რაკი წლეულს ევროთასზე თამაშის უფლება არ აქვთ.

საინტერესო ჯახია მოსალოდნელი ვალენსიაში. „მესტალიაზე" ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორი გათამაშების ფინალისტი გლაზგოს „სელტიკს" უმასპინძლებს. ესპანელებს მომჯობინებული მეკარე სანტიაგო კანისარესი დაუბრუნდებათ, ხოლო შოტლანდიურ გუნდს მცველი იოს ვალგაერენი. თუმცა მარტინ ონილს უპირველესად ტრავმირებული დიდიე აგატის არყოფნა აღარდებს: „ეს ჩვენთვის სერიოზული დანაკლისია, განსაკუთრებით ასეთი მატჩის წინ" — ბრძანა „სელტიკის" მწვრთნელმა.

სერიოზულად არის დაშავებული ინგლისური „იფსვიჩის" მეგოლე მარკუს სტიაურტიც, ურომლისობაც გუნდს ჩემპიონატის ბოლო ტურშიც დაეტყო, როცა საშინაო შეხვედრა წააგო „ბოლტონთან". თავის მხრივ „ინტერის" არგენტინელი თავკაციც არ აპირებს რონალდოსა და ვიერის ინგლისში წაყვანას. ისინი მილანში დარჩებიან და „ფიორენტინასთან" საკვირაო მატჩისთვის მოემზადებიან.

ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა ნაკლებობას განიცდის „ლიდსიც". ორნი, მარკ ვიდუკა და ჰარი კიუელი მშობლიურ ავსტრალიას ეხმარებიან, მაიკლ ბრიჯისი საოპერაციოა, ხოლო ცემა-ტყეპაში შემჩნეული ლი ბოიერიც ჯანმრთელობას უჩივის. ასე რომ, „გრასჰოპერს" მოსაგებად კარგი შანსი ეძლევა.

ბოლო წამს გაკოტრებას გადარჩენილი „ფიორენტინა" ფრანგულ კერკეტ კაკალს, „ლილს" უმასპინძლებს. ეგებ, ჩაფულიანებულმა ფლორენციელებმა გახარებულ-გალაღებულ გულზე შეძლონ კიდეც ჰალილჰოჯიჩის გუნდის ძლევა.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ ბულგარული „ლიტექსის" მთავარი მეგოლე სტეფან იურკოვი სოფიის „ლევსკისთან" შეხვედრაში დაშავებულა და ათენის აეკ-თან ორივე მატჩს გამოტოვებს.

**გაგა ხუციშვილი**

## ფეხბურთის



**ინგლისური** „ჩელსის" მეკარე მარკ ბოსნიჩი მორიგი ტრავმის გამო ერთ თვეს ვერ ითამაშებს. ავსტრალიელი გოლკიპერი პირველად „მანჩესტერში" თამაშისას დაშავდა და 18 თვე მოედანზე არ გასულა. იგი კარს ერთი თვის წინ დაუბრუნდა, როცა „ჩელსი" უეფას თასის მატჩში „ჰაპოელს" ხვდებოდა. ამის შემდეგ მეკარემ თანდათან თამაშს უმატა, მაგარმ კვირას, „ევერტონის" წინააღმდეგ პრემიერლიგურ მატჩში ისევ დაშავდა და, როგორც გითხარით, ერთი თვე დაისვენებს.

**არგენტინელ დიეგო მარადონას ამჯერად მის მიერ 1994 წელს დაწიოკებული ჟურნალისტები უჩივიან. მაშინ მარადონას ორწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა, მაგრამ საქმე შეწყდა და ყველაფერი ჩაწყნარდა, თუმცა შეურაცხყოფილი ჟურნალისტები და მათი ადვოკატი მარსელო ბარმოლენი, როგორც ჩანს, მარადონას ასე ადვილად არ მოეშვებიან. მათ საქმე უზენაეს სასამართლოში გადაიტანეს და თან იმუქრებიან, თუ ჩვენს მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს არ განიხილავენ, ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლოში ვიჩივლებთო.**

**ბრაზილიელი** ვარსკვლავი რომარიო თავის ამჟამინდელ და ყოფილ კლუბებს — „ვასკუ და გამას" და „ფლამენგოს" უჩივის. ფეხბურთელის თქმით, ორივე კლუბს ოთხი წლის მანძილზე მისი ვალი დაუგროვდა და ახლა დაბრუნებას ითხოვს. თანხა კი 700 მილიონი პესეტაა (დაახლოებით 3.5 მილიონი დოლარი). ბრაზილიელ ვარსკვლავს ჯერ არ გადაუწყვეტია, დატოვებს თუ არა „ვასკუ და გამას", თუმცა სხვაგან გადასვლის შემთხვევაში კარიერას კვლავ რიო დე ჟანეიროს რომელიმე კლუბში გააგრძელებს.

**ბელარუსის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული რუსული „როსტსელმაშისა" და ბელარუსიის ნაკრების კარის დარაჯი გენადი ტუმილოვიჩი ინგლისში ჩავიდა. ამბობენ, მას იქ თამაშის ვარიანტი გაუჩნდაო, თუმცა კონკრეტულად ჯერ არაფერი თქმულა. ბელარუსი კი კონტრაქტით კიდევ სამი წლის განმავლობაში როსტოვულ კლუბს ეკუთვნის.**

**ინგლისური** „ლიდსი" „ლესტერის" თურქი ნახევარმცველით მაზი იზეტითაა დაინტერესებული. ეს ინტერესი „ლიდსის" პირველი პრემიერლიგური მარცხის შემდეგ გაიზარდა. დევიდ ოლირის გუნდმა „სანდერლენდთან" წააგო და ტრამვირებული ლი ბოიერის შემცვლელის პოვნის პრობლემა უფრო მწვავედ იგრძნო. ლიდსელებმა სებასტიან დაისლერის გერმანიიდან ჩამოყვანა ვერ მოახერხეს, ახლა კი იმის გათვალისწინებით, რომ იზეტის კიდევ ერთმა მსურველმა, „ასტონ ვილამ" მასზე უარი თქვა, ოლირის გუნდს თურქის დასაკუთრების კარგი შანსი გაუჩნდა.

**პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციამ და ხოსე ლუის ჩილავერტის ადვოკატმა ფიფაში აპელაცია შეიტანეს მეკარის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის გასაუქმებლად. შეგახსენებთ, რომ პარაგვაელმა დისკვალიფიკაცია მას შემდეგ მიიღო, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში რობერტო კარლოსს შეაფურთხა. პარაგვაელთა შეშფოთება გასაგებია — ჩილავერტს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ორი სასტარტო მატჩის გამოტოვება მოუწევს (ორი უკვე გამოტოვა), რაც მისი ნაკრებისთვის შესაძლოა, საბედისწეროც აღმოჩნდეს.**

**იტალიური** „პერუჯას" პრეზიდენტის ლუჩანო გაუჩის გადაწყვეტილებით, ფეხბურთელებს საწვრთნელი ბაზის დატოვება აკრძალული აქვთ, სანამ თამაშის ხარისხს არ გააუმჯობესებენ. გაუჩის რისხვა ბოლო ტურში „ბრეშასთან" ფრემ გამოიწვია. მწვრთნელის თქმით, ფეხბურთელები თავიანთი შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ აჩვენებენ. მიზეზი სხვაცაა — წინა სეზონის ბოლოს „პერუჯამ" ლიდერები, მარკო მატერაცი და ფაბიო ლივერანი, გაყიდა, მათ გარეშე კი გუნდს, ცხადია, უჭირს. ბაზაზე ჩაკეტილ პერუჯელებს ახლა ზედიზედ ორი უმძიმესი მატჩი ელით — ვერონაში ლიდერ „კიევოსთან" და ტურინის „იუვენტუსთან".

**იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „პიაჩენცას" მწვრთნელ ვალტერ ნოველინოს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. მან „მილანთან" შეხვედრის დროს უცენზურო გამოთქმები იხმარა. ამავე ვადით გამოაკლდებიან თავისიანებს მილანელი კოსტაკურტა და პიაჩენცელი კრისტანტე, რომლებმაც წითელი ბარათები მიიღეს. ყველაზე მკაცრად კი ვენეციელი მარასკო დაისაჯა — იგი ატალანტელ ლუკა საუდატისთან ჩხუბისთვის ორ შეხვედრას გამოტოვებს.**

**ჩეხეთის** ნაკრების მწვრთნელი იოჟეფ ხოვანეცი თანამდებობიდან გადადგა. ეს პლეი ოფში ბელგიასთან მარცხმა განაპირობა. ხოვანეცის ხელმძღვანელობით ჩეხებმა 1998 იანვრიდან 45 მატჩი ჩაატარეს, რომელთაგანაც 27 მოიგეს.

**ბელგიური „ანდერლეხტის" თავკაცი 2002 წლის იანვრიდან ალენ კურტუა გახდება, რომელიც ამჟამად ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის სამდივნოში მუშაობს. იგი ახლანდელ მწვრთნელს, ემე ანტუნესს შეცვლის.**

**შოტლანდიის** ფეხბურთის ასოციაცია ნაკრებისთვის ახალ მწვრთნელს ეძებს და 25 იანვრამდე სასურველი კანდიდატურის დამტკიცებასაც აპირებს. ნაკრების ყოფილმა თავკაცმა კრეიგ ბრაუნმა თავის სავარაუდო შემცვლელად ბერტი ფოგტსი დაასახელა, რომელმაც 1996 წელს გერმანიის ნაკრებს ევროპული ოქრო მოუტანა. „ის შესანიშნავი მწვრთნელია. ვიცი, გულშემატკივრებს შოტლანდიელი ურჩევნიათ, მაგრამ, ვფიქრობ, ბერტი საუკეთესო ვარიანტია" —თქვა ბრაუნმა.

**მექსიკის ნაკრების და ესპანური „ვალიადოლიდის" თავდამსხმელმა კვატემოკ ბლანკომ განაცხადა, რომ ნაკრებში აღარ ითამაშებს. იგი წასვლის მიზეზად ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობის გაუარესებას ასახელებს. თავდამსხმელის აზრით, მას უსამართლოდ ექცევიან და სხვა ფეხბურთელებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებენ. ასე მაგალითად, ესპანეთთან ამხანაგურ მატჩისთვის სამშობლოში გასაფრენად მას ევროპაში მოთამაშე მექსიკელებიდან ყველაზე დაბალი კლასის ბილეთი ერგო. ამის გამო ბლანკო ესპანეთში დარჩა, რის გამოც ფედერაციისგან გვარიანი კრიტიკა დაატყდა თავს. მექსიკელი იმანაც გაანაწყენა, რომ ფედერაციამ ტრინიდადისა და ტობაგოს წინააღმდეგ მატჩში მიღებული ტრავმის სამკურნალოდ ფული არ გამოუყო. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში სწორედ ბლანკომ გაუტანა ჰონდურასს ორი გოლი და ნაკრები მსოფლიოს პირველობაზე გაიყვანა. ახლა კი: „ჩემი მოთმინება ამოიწურა, ნაკრებში აღარ ვითამაშებ, გული გამიტყდა" — აცხადებს მექსიკის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი.**

**ხორვატიის** ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ნაკრების ამხანაგური მატჩების კალენდარი გამოაქვეყნა. ტურნირისთვის მზადებას ხორვატები 12-16 დეკემბერს ლოს ანჯელესში მექსიკელებთან ორი შეხვედრით დაიწყებენ, მარტში ნიგერიასთან, ხოლო აპრილში ბულგარეთის წინააღმდეგ ითამაშებენ. ხორვატებს ჰონკონგის ტურნირიდანაც მიუვიდათ მიწვევა. ნაკრების მატჩების კალენდარი საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ დამტკიცდება.




რობერტ შვანი: კაცი, რომელმაც ფრანც ბეკენბაუერს კაიზერობა უბოძა

# რობერტს გაუმარჯოს, როგორ ხარ, შე ძველო...

–გილოცავ და კარგად იყავი — გუშინ რობერტ შვანის დაბადების დღე იყო, ოთხმოცისა მოიყარა, დაბადების დღე ამ სიტყვებით კი ფრანც ბეკენბაუერმა მიულოცა.

აქ გამოვტოვოთ ოთხიოდე საგაზეთო გვერდი, რომელშიც ბეკენბაუერის პიროვნებაზე შეგვეძლო გველაპარაკა და გავარკვიოთ თუ ვინ არის რობერტ შვანი. ეს საქმე თავად „კაიზერ ფრანცს" მივანდოთ: „შვანის დახმარების გარეშე მე დიდი ფეხბურთელი ვიქნებოდი, მაგრამ ვერასდროს გავხდებოდი „კაიზერი". ჩვენ კი დავუმატოთ, რომ შორეულ 1965 წელს რობერტ შვანი ბუნდესლიგის პირველი ხელფასიანი მენეჯერი გახდა (იქამდე შიშველ ენთუზიაზმზე და პრემიებზე მუშაობდნენ) და ჩვიდმეტი წელი ედგა სათავეში მიუნხენის „ბაიერნს". იმავე 1965 წლიდან დღემდე შვანი ფრანც ბეკენბაუერის მრჩეველიც გახლავთ.

იუბილესთან დაკავშირებით, „ბილდმა" შვანს ინტერვიუ ჩამოართვა:

**— ჰერ შვან, როგორ შექმენით ბეკენბაუერისგან „კაიზერი"?**

— საქმე ისაა რომ, ფრანცს არ შეუძლია „არას" თქმა, ის საამისოდ ძალიან ეშმაკია. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ მის მაგივრად უარის თქმა მე მიხდებოდა. ჩემს დამსახურებად იმას ვთვლი, რომ გზიდან პრობლემებს ვაშორებდი.

იცით, რამდენი ჰქონდა ხელფასი ფრანცს „ბაიერნში" 1966 წელს? თვეში 180 მარკა. ხომ სასაცილოა? მაგრამ რამდენიმე წლის მერე უკვე ათას მარკას იღებდა თვეში. მაშინ „მილანსაც" სურდა მისი გადაბირება და ეს რომ არ მომხდარიყო, იმდენი ვიბრძოლე, სანამ ხელფასი ორასი მარკით არ გაუზარდეს. ფრანციც გერმანიაში დარჩა.

**— როგორ მუშაობს შვან-ბეკენბაუერის ტანდემი?**

— ფრანცის ტრანსფერებზე ერთი მარკაც არ მიშოვია. სამაგიეროდ, სარეკლამო კონტრაქტებიდან გარკვეულ პროცენტს ვიღებდი. ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე გერმანიის ნაკრების ყველა მოთამაშემ კონტრაქტები გააფორმა პარფიუმერიულ ფირმა „ბრისკთან". თითოეული წელიწადში ათას მარკას იღებდა. ფრანცი მაშინ 21 წლის იყო და უზომოდ ბედნიერი ჩანდა ამგვარი კონტრაქტით. მე კი ვუთხარი, ფრანც, ეგ სისულელე თავიდან ამოიგდე, ათასი მარკა რა ფულია, მე შენ ათი ათასს გაშოვნინებ-მეთქი.

რობერტ შვანმა სიტყვა შეასრულა: სანამ ბეკენბაუერის ბუნდესმეგობრები წელიწადში ათას მარკად ბრიოლინიანი თავებით დადიოდნენ, ის ათი ათას მარკად ტელეეკრანზე გემრიელ სუპებს მიირთმევდა. მოგვიანებით ანგარიში მილიონებს გადასწვდა.

**— თქვენ ბეკენბაუერი, ალბათ, შვილივით გიყვართ?**

— აბა, რა გითხრათ, როცა ის კმაყოფილია, მე ბედნიერი ვარ.

**გიორგი დარჯანია**

# გაფიცვა იწყება: განი კამერა!

**რა ნაცნობი** და ლამის მშობლიური სიტყვებია — გაწი, ბიჭო, ეს შენი კამერა! ბოლოს ასეთი კადრები რამდენიმე კვირის წინ ვიხილეთ და კამერების არგაწევამ ჩვენი მთავრობაც კი შეიწირა. ახლა საფრთხე ინგლისური პრემიერლიგის თავკაცობას ემუქრება.

ცხადია, ბრიტანეთში თანამდებობის პირი ტელეკამერას ხელს რომ ააფარებს, უხელოდ არა და, უსამსახუროდ ნაღდად დარჩება. უბრალოდ, იქაური ფეხბურთელები ლიგის ხელმძღვანელობას შემოსწყრნენ და 1 დეკემბრიდან გაფიცვას იწყებენ, გაფიცვას კოდური სახელწოდებით „გაწიეთ კამერები!" ანუ, ოთხივე პროფესიული ლიგის მოთამაშეები მოედანზე არ გავლენ, თუ სტადიონზე ერთი ტელეკამერა მაინც შეამჩნიეს. ეს გადაწყვეტილება ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ (ჩვენებურად პროფკავშირმა) გუშინწინ მიიღო.

უთანხმოება ფულმა წარმოშვა. უფრო სწორად, დიდმა ფულმა — მოთამაშეები თვლიან, რომ ლიგის ბოსები ტელეკომპანიებისგან უამრავ თანხას იღებენ მატჩების ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვით, ასოციაციას კი ცოტას ურიცხავენ.

გაფიცვის თავიდან ასაცილებლად ნოემბრის პირველ ნახევარში ინტენსიური მოლაპარაკებებიც გაიმართა, მაგრამ: „ჩვენს შორის უფსკრული ძევს, შეთანხმება არ შედგა" — განაცხადა პროფკავშირის ლიდერმა გორდონ ტეილორმა და ზამთრის პირველივე დღიდან გაფიცვის დაწყება ბრძანა. ამ გადაწყვეტილებას ფეხბურთელთა 99 პროცენტი უჭერს მხარს.

სამაგიეროდ, პრემიერლიგის თავკაცობა და თავად კლუბების მფლობელები ჩავარდნენ ცუდ მდგომარეობაში. „ფეხბურთელთა ასეთი ქმედება არაკანონიერია, თუმცა ჩვენ მაინც ვეცდებით, პრობლემა კვლავ მოლაპარაკებებით გადავწყვიტოთ" — ამბობს ლიგის აღმასრულებელი დირექტორი რიჩარდ სკუდამორი, მაგრამ იმასაც არ გამორიცხავს, მისმა ორგანიზაციამ სასამართლოში იჩივლოს. აქციის ჩასაშლელად სხვა გზას მიმართავს „ასტონ ვილას" თავმჯდომარე დუგ ელისი: „გაფიცვის გამოცხადებამ ძლიერ გამაბრაზა. ახლა ჩემი კლუბის მოთამაშეებს შევხვდები და ავუხსნი, რომ საქმეს ამით არ ეშველება. თანაც, ლიგის კანონით, თუ ფეხბურთელი თამაშზე უარს ამბობს, ის ხელფასის ორმაგი თანხით უნდა დაჯარიმდეს".



REUTERS ლოგოტიპიდან

რიჩარდ სკუდამორი ტელეობიექტივში

არსებობს მესამე გზაც, ანუ გამოსავალი. „პრობლემის გადაჭრა მეტად იოლია: უბრალოდ, მეტი ფული მოგვეცით" — თქვა გორდონ ტეილორმა და განმარტა, რომ გაფიცვა მხოლოდ ჩემპიონატის მატჩებს ეხება, სათასო და ევროშეხვედრები კი ჩვეულებრივ ჩატარდება. თუ მართლაც ასე მოხდა, პირველი თამაში, რომელსაც ტელემაყურებელი ვერ იხილავს (ან საერთოდ არ ჩატარდება), 1 დეკემბრის „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ჩელსი" იქნება.

ბოლოს კი მთავარიც ვთქვათ: პრემიერლიგა პროფკავშირს სამ წელიწადში 50 მილიონი გირვანქის გადახდას ჰპირდება, ფეხბურთელები კი ტელეკონტრაქტების ხუთ პროცენტს ანუ წელიწადში 36 მილიონს ითხოვენ, რაც, როგორც თავად ხედავთ, შეთავაზებულს ორჯერ აღემატება.

**გიგა კოგახიძე**

# კორუმპელეგული

**ფეხბურთის** მეფე პელე ფინანსურ სკანდალში გაეხვია. ბრაზილიურმა მასმედიამ ფირმა „პელე სპორტს მარკეტინგი", რომლის მეპატრონე ვინც არის, მიხვდებოდით, 700 000 დოლარის მითვისებაში დაადანაშაულა.

საქმე 1995 წელს ბუენოს აირესში ჩასატარებელ საქველმოქმედო მატჩს ეხება. ამ შეხვედრის გამართვის იდეა „იუნისეფის" ბავშვთა ფონდს ეკუთვნოდა, რომელმაც „პელე სპორტს მარკეტინგს" საამისოდ თანხაც გამოუყო. პელეს ავტორიტეტს მატჩზე ვარსკვლავების მიზიდვისათვის უნდა შეეწყო ხელი.

მაგრამ საბოლოოდ პროექტი ჩაიშალა, როცა ერთ-ერთი კრედიტორის, არგენტინული ბანკის გაკოტრებამ განაპირობა. იდეა კი იდეადვე დარჩა. თუმცა სად გაქრა ბანკის გაკოტრებამდე გამოყოფილი 700 000 დოლარი, დღემდე უცნობია. ბრაზილიური გაზეთი „ფოლია დე სან პაულუ" და ადგილობრივი ტელეარხი „გლობო" კი ხელს პელეს კომპანიას ადებენ. ამჟამად ნიუ იორკში მყოფმა ფეხბურთის მეფემ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აუცილებლად გაერკვევა ყველაფერში და დამნაშავეებს იპოვის.

**სერგი ძორიძე**

## ინგლისი

### I დივიზიონი

**გადადებული მატჩები**

**ნორვიჩი 2:2 ძრიუ**

0:1 უოლტონი (6), 1:1, 2:1 ლიბრა (14, 50), 2:2 ბრემერი (86)

**უიმბლდონი 2:2 უოლსოლი**

1:0 კონოლი (29), 1:1 ტოგერსენი (42), 2:1 კონოლი (73), 2:2 ლეიტაო (88)

**პრესტონი 1:1 ბრედფორდი**

0:1 რ. ბლეიქი (26), 1:1 ალექსანდერი (53პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 20 | 11 | 4 | 5 | 39:28 | 37 |
| ვულვზი | 18 | 10 | 5 | 3 | 28:14 | 35 |
| კრ. პალასი | 17 | 11 | 1 | 5 | 41:23 | 34 |
| ნორვიჩი | 20 | 10 | 3 | 7 | 27:26 | 33 |
| პრესტონი | 20 | 8 | 8 | 4 | 33:24 | 32 |
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 2 | 7 | 23:18 | 32 |
| მილუოლი | 18 | 9 | 4 | 5 | 32:21 | 31 |
| ქოვენთრი | 18 | 9 | 4 | 5 | 22:16 | 31 |
| სიტი | 18 | 9 | 3 | 6 | 43:28 | 30 |
| პორტსმუთი | 19 | 8 | 6 | 5 | 30:24 | 30 |
| ბრედფორდი | 20 | 8 | 5 | 7 | 39:37 | 29 |
| უიმბლდონი | 20 | 6 | 8 | 6 | 35:32 | 26 |
| ბირმინგემი | 19 | 7 | 5 | 7 | 30:28 | 26 |
| უოტფორდი | 19 | 7 | 4 | 8 | 30:26 | 25 |
| ნოტინგემი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:18 | 25 |
| შეფილდი | 20 | 5 | 8 | 7 | 20:24 | 23 |
| როტერჰემი | 20 | 5 | 7 | 8 | 25:32 | 22 |
| ქრიუ | 20 | 5 | 7 | 8 | 19:31 | 22 |
| უოლსოლი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:32 | 20 |
| გრიმსბი | 20 | 5 | 5 | 10 | 21:39 | 20 |
| ჯილინგემი | 18 | 5 | 4 | 9 | 24:28 | 19 |
| უენსდი | 20 | 4 | 7 | 9 | 19:32 | 19 |
| ბარნსლი | 19 | 3 | 6 | 10 | 21:41 | 15 |
| სტოკპორტი | 19 | 2 | 6 | 11 | 21:41 | 12 |

## პოლონეთი

### თასის მეოთხედფინალი

**I მატჩი**

**ლეგია 2:4 რუხი**

1:0 სვიტლიცა (15), 1:1 ბიცაცკი (18), 1:2 მიძია (30), 2:2 ჩერეშევსკი (53), 2:3 ბიცაცკი (63), 2:4 შრუტვა (70)

რუხი: მატუშეკი, ფორნალიკი, ვლქსიალოვსკი, მიძია, მასტერნაკი, გორსკი, ბალუხი (მადეი 89), ვოში, სურმა, შრუტვა (დუდა 82), ბიცაცკი

გაფრთხილება: მიძია, შრუტვა, მატუშეკი, ვლქსიალოვსკი

## შვეიცარია

### B ჯგუფი. XXI ტური

ბადენი — ლოკარნო 0:4; ბელინცონა — ვილი 0:1; კრინსი — კარუჟი 0:2; თუნი — დელემონი 0:2; ვადუცი — ივერდონი 0:1; ვინტერთური — კონკორდია 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილი | 21 | 12 | 4 | 5 | 51:30 | 40 |
| ვინტერთური | 21 | 12 | 3 | 6 | 46:40 | 39 |
| დელემონი | 21 | 11 | 4 | 6 | 30:23 | 37 |
| თუნი | 21 | 10 | 5 | 6 | 39:32 | 35 |
| ივერდონი | 21 | 9 | 5 | 7 | 31:31 | 32 |
| კარუჟი | 21 | 8 | 6 | 7 | 27:26 | 30 |
| კრინსი | 21 | 9 | 3 | 9 | 27:28 | 30 |
| ბადენი | 21 | 5 | 9 | 7 | 39:35 | 24 |
| ლოკარნო | 21 | 6 | 5 | 10 | 28:32 | 23 |
| ბელინცონა | 21 | 6 | 4 | 11 | 26:33 | 22 |
| ვადუცი | 21 | 5 | 6 | 10 | 28:37 | 21 |
| კონკორდია | 21 | 4 | 4 | 13 | 30:55 | 16 |

## შოტლანდია

### II დივიზიონი

მე-15 ტური: არბროთი — რეით როვერსი 1:1; კლაიდი — პარტიკ თისლი 3:1; ფოლკირკი — ერდრი 1:2; ინვერნესი — როს ქაუნთი 3:0; სტ. მირენი — ეარი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერდრი | 15 | 8 | 6 | 1 | 32:12 | 30 |
| პარტიკ თისლი | 15 | 9 | 3 | 3 | 32:18 | 30 |
| ინვერნესი | 15 | 7 | 2 | 6 | 35:25 | 23 |
| სტ. მირენი | 15 | 6 | 5 | 4 | 19:18 | 23 |
| კლაიდი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:29 | 19 |
| არბროთი | 15 | 6 | 1 | 8 | 18:32 | 19 |
| ეარი | 15 | 5 | 3 | 7 | 22:24 | 18 |
| ფოლკირკი | 15 | 4 | 4 | 7 | 22:29 | 16 |
| როს ქაუნთი | 15 | 5 | 1 | 9 | 17:25 | 16 |
| რეით როვერსი | 15 | 3 | 5 | 7 | 25:29 | 14 |

## ბელგია

### II დივიზიონი

მე-14 ტური: რონსი — დაინცე 0:0; ჰეუსდენი — მეხელენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეხელენი | 14 | 11 | 3 | 0 | 27:4 | 36 |
| ინგელმუნსტერი | 13 | 8 | 1 | 4 | 22:11 | 25 |
| დესელი | 13 | 6 | 4 | 3 | 25:12 | 22 |
| მონსი | 13 | 6 | 4 | 3 | 23:13 | 22 |
| ფლაანდერენი | 13 | 6 | 4 | 3 | 17:16 | 22 |
| სტრომბეეკი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:20 | 21 |
| რონსი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:19 | 20 |
| ჰეუსდენი | 14 | 4 | 6 | 4 | 18:16 | 18 |
| დენდერლეეუ | 13 | 5 | 3 | 5 | 12:17 | 18 |
| ვირტონი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:14 | 16 |
| ლიეჟი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:12 | 16 |
| რუზელარე | 13 | 3 | 5 | 5 | 14:17 | 14 |
| სერკლი | 13 | 3 | 5 | 5 | 11:14 | 14 |
| დაინცე | 14 | 3 | 5 | 6 | 15:21 | 14 |
| გეელი | 12 | 4 | 1 | 7 | 13:20 | 13 |
| ვიზე | 13 | 3 | 3 | 7 | 16:26 | 12 |
| ტიენენი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:23 | 10 |
| პატრო | 13 | 2 | 2 | 9 | 9:25 | 8 |

### თასის 1/16 ფინალი

ბეერსხოტი — გენტი 4:3დ.დ.(3:3); ბერგენი — ტუბეკე 1:3; გეელი — ვესტერლო 0:4; ანდერლეხტი — ლოკერენი 3:4; ანტვერპენი — მალდეგემი 4:0; ბევერენი — ვისე 4:0; ლიერსი — შარლერუა 2:0; ლომელი — ლუვე 1:3დ.დ.(1:1); მუსკრონი — ბოშოლტი 7:1; სენტ ტრუიდენი — დიეგემი 2:1; ტურნუა — ვეველგემი 5:1; ზიდ-ვესტი — ოდ-ევერლე 0:0 (პენ.5:6); ბრიუგე — აარშოტი 12:2; აალსტი — ინგელმუნსტერი 2:0; მოლენბეკი — მამე 4:0; გენკი — სტანდარდი 3:2დ.დ.(1:1)

## ჩეხეთი

მე-14 ტური: პრადეც კრალოვე — დრნოვიცე 1:0; იაბლონეცი — ქიეკოვი 1:0; სლავია — სიგმა 0:0; ბანიკი — პრჟიბრამი 1:1; ტეპლიცე — ოპავა 1:0; ბრნო — ლიბერეცი 0:3; ბოჰემიანსი — სპარტა 2:1; სინოტი — ბლშანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიგმა | 14 | 3 | 6 | 5 | 11:17 | 15 |
| დრნოვიცე | 14 | 4 | 2 | 8 | 17:18 | 14 |
| ბლშანი | 14 | 4 | 1 | 9 | 19:26 | 13 |
| პრჟიბრამი | 14 | 3 | 3 | 8 | 13:22 | 12 |
| ოპავა | 14 | 1 | 1 | 12 | 10:30 | 4 |
| სპარტა | 14 | 11 | 0 | 3 | 30:8 | 33 |
| ბოჰემიანსი | 14 | 10 | 3 | 1 | 24:8 | 33 |
| ქიეკოვი | 14 | 10 | 1 | 3 | 24:11 | 31 |
| ლიბერეცი | 14 | 7 | 5 | 2 | 24:12 | 26 |
| ბანიკი | 14 | 7 | 4 | 3 | 22:15 | 25 |
| სლავია | 14 | 7 | 2 | 5 | 25:20 | 23 |
| იაბლონეცი | 14 | 5 | 4 | 5 | 11:12 | 19 |
| ბრნო | 14 | 5 | 4 | 5 | 15:24 | 19 |
| სინოტი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:16 | 16 |
| ჰრადეც კრალოვე | 14 | 5 | 1 | 8 | 15:27 | 16 |
| ტეპლიცე | 14 | 4 | 3 | 7 | 15:21 | 15 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

მე-14 ტური: მაასტრიხტი — დენ ჰააგი 1:0; ვენლო — დორდრეხტი 3:1; ეინდჰოვენი — ვეენდამი 3:4; ექსელსიორი — ემენი 4:0; ზვოლე — ოსი 5:0; ჰერაკლესი — ჰაარლემი 1:2; ტელსტარი — როზენდალი 2:2; ვოლენდამი — კამბური 0:2; ჰელმონდი — იგლსი 1:2; ემენი — ზვოლე 0:0; დენ ჰააგი — ტელსტარი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 14 | 10 | 2 | 2 | 28:10 | 32 |
| როზენდალი | 14 | 8 | 4 | 2 | 33:17 | 28 |
| ზვოლე | 14 | 8 | 4 | 2 | 26:15 | 28 |
| ემენი | 14 | 8 | 4 | 2 | 27:17 | 28 |
| დენ ჰააგი | 14 | 7 | 4 | 3 | 21:12 | 25 |
| ვეენდამი | 14 | 7 | 4 | 3 | 30:22 | 25 |
| კამბური | 14 | 7 | 3 | 4 | 22:13 | 24 |
| ვოლენდამი | 14 | 6 | 2 | 6 | 27:21 | 20 |
| ჰაარლემი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:19 | 19 |
| დორდრეხტი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:23 | 18 |
| იგლსი | 14 | 4 | 5 | 5 | 26:27 | 17 |
| ტელსტარი | 14 | 4 | 4 | 6 | 21:19 | 16 |
| ვენლო | 14 | 5 | 0 | 9 | 25:29 | 15 |
| მაასტრიხტი | 14 | 4 | 3 | 7 | 19:25 | 15 |
| ჰერაკლესი | 14 | 4 | 2 | 8 | 20:22 | 14 |
| ჰელმონდი | 14 | 3 | 4 | 7 | 9:22 | 13 |
| ოსი | 14 | 2 | 1 | 11 | 9:43 | 7 |
| ეინდჰოვენი | 14 | 1 | 3 | 10 | 16:43 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

### გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. XIV ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.11.01 | 18.30 | 001 | 0:1ვერდერი; ჰამბურგი3:0; 2:0კიოლნი **ბაიერნი** V **ნიურნბერგი** ჰანზა2:0; 0:5ვოლფსბურგი; ჰერთა1:3 | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1,5 | 3,5 | 3,5 | - | - | - | 2:0 0:2 |
| 24.11.01 | 18.30 | 003 | 0:2ჰერთა; ნიურნბერგი5:0; 0:1ვერდერი **ვოლფსბურგი** V **გლადბახი** კოტბუსი0:0; 0:3ჰერთა; ფრაიბურგი2:2 | 2,1 | 3,0 | 3,3 | | | | - | - | - | 7:1 2:5 |
| 24.11.01 | 18.30 | 004 | 0:0გლადბახი; 1:3ფრაიბურგი; დორტმუნდი0:2 **კოტბუსი** V **შტუტგარტი** ფრაიბურგი3:0; 0:1დორტმუნდი; ზტ. პაული2:0 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 2:1 0:1 | - | - |
| 24.11.01 | 18.30 | 005 | 1:5ლაუტერნი; მიუნხენი0:3; 0:2შტუტგარტი **ზტ. პაული** V **კიოლნი** ლევერკუზენი1:2; 1:3შალკე; ბაიერნი0:2 | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | - | - | - | - |
| 24.11.01 | 18.30 | 006 | 2:1კიოლნი; ლაუტერნი2:1; 4:1მიუნხენი **ლევერკუზენი** V **ჰამბურგი** შალკე0:0; 0:3ბაიერნი; ჰანზა0:1 | 1,45 | 3,6 | 6,5 | 2,0 | 3,2 | 2,3 | - | 3:1 1:1 | 2:2 2:0 | 1:2 0:0 |
| 24.11.01 | 18.30 | 008 | 0:0ჰამბურგი; კიოლნი3:1; 0:0ლაუტერნი **შალკე** V **ვერდერი** ბაიერნი1:0; 1:0ჰანზა; ვოლფსბურგი1:0 | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | 1:1 1:2 | 1:0 3:1 | 1:2 0:1 |
| 24.11.01 | 18.30 | 009 | 0:2ნიურნბერგი; ვერდერი0:1; 1:0ჰამბურგი **ჰანზა** V **ჰერთა** ვოლფსბურგი2:0; გლადბახი3:0; 3:1ნიურნბერგი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 0:2 0:1 | 2:5 0:1 | 1:2 0:2 |
| 25.11.01 | 20.30 | 010 | 0:3შტუტგარტი; კოტბუსი3:1; 2:2გლადბახი **ფრაიბურგი** V **მიუნხენი** დორტმუნდი1:3; 3:0ზტ. პაული; ლევერკუზენი1:4 | 1,85 | 3,2 | 3,6 | | | | - | 1:3 0:3 | 3:0 1:3 | 1:2 0:2 |
| 25.11.01 | 21.00 | 011 | 3:1მიუნხენი; შტუტგარტი1:0; 2:0კოტბუსი **დორტმუნდი** V **ლაუტერნი** ზტ. პაული5:1; 1:2ლევერკუზენი; შალკე0:0 | 1,9 | 3,2 | 3,5 | | | | - | 1:2 4:1 | 0:1 0:1 | 0:1 1:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | ■ | 1:1 | 2:1 | 24.02 | 04.05 | 21.04 | 06.02 | 4:1 | 4:1 | 10.02 | 24.03 | : | 2:1 | 27.01 | 10.03 | 09.12 | 07.04 | 3:1 | 13 | 10 | 3 | 0 | 33:14 | 33 | 5 | 1 | 0 | 16:6 | 16 | 5 | 2 | 0 | 17:8 | 17 |
| 2 | ბაიერნი მიუნხენი (1) | 03.02 | ■ | 4:1 | 10.02 | 21.04 | 07.04 | 3:0 | 4:0 | 1:0 | 19.12 | 10.03 | 3:0 | 09.12 | 04.05 | 24.02 | : | 24.03 | 2:0 | 13 | 10 | 1 | 2 | 30:5 | 31 | 6 | 0 | 0 | 17:1 | 18 | 4 | 1 | 2 | 13:4 | 13 |
| 3 | კაიზერსლაუტერნი (8) | 31.03 | 17.03 | ■ | 14.04 | 4:1 | 2:1 | 0:0 | 16.12 | 02.12 | 3:2 | 19.12 | 06.02 | 03.03 | 3:1 | 27.04 | 17.02 | 2:1 | 5:1 | 13 | 9 | 1 | 3 | 30:17 | 28 | 6 | 1 | 0 | 19:7 | 19 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 9 |
| 4 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 1:1 | 0:2 | : | ■ | 27.01 | 04.05 | 17.02 | 1:0 | 0:2 | 10.03 | 07.04 | 09.12 | 4:0 | 06.02 | 24.03 | 2:0 | 21.04 | 03.03 | 13 | 9 | 1 | 3 | 21:9 | 28 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 | 6 | 0 | 1 | 13:4 | 18 |
| 5 | ჰერთა ბერლინი (5) | 16.12 | 02.12 | 24.02 | 0:2 | ■ | 3:1 | 27.04 | 10.02 | 03.02 | 3:0 | 2:1 | 10.03 | 2:0 | 14.04 | 2:3 | 24.03 | 3:0 | 19.12 | 13 | 7 | 2 | 4 | 22:17 | 23 | 5 | 0 | 2 | 15:7 | 15 | 2 | 2 | 2 | 7:10 | 8 |
| 6 | ვერდერი ბრემენი (7) | 02.12 | 1:0 | 10.02 | 16.12 | 17.03 | ■ | 14.04 | 03.02 | 19.12 | 1:0 | 1:3 | 24.02 | 1:0 | 31.03 | 3:2 | 3:0 | 1:1 | 27.04 | 13 | 7 | 2 | 4 | 18:14 | 23 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 16 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| 7 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 3:3 | 27.01 | 24.03 | 1:0 | 09.12 | : | ■ | 10.03 | 24.02 | 03.02 | 1:0 | 07.04 | 04.05 | 3:1 | 2:0 | 21.04 | 3:1 | 10.02 | 13 | 6 | 4 | 3 | 15:13 | 22 | 5 | 1 | 0 | 13:5 | 16 | 1 | 3 | 3 | 2:8 | 6 |
| 8 | შტუტგარტი (15) | 17.03 | 03.03 | 04.05 | 31.03 | 0:0 | 0:0 | 3:0 | ■ | 3:0 | 02.12 | 09.12 | 27.01 | 17.02 | 2:1 | 14.04 | 06.02 | 0:0 | 2:0 | 13 | 6 | 3 | 4 | 17:14 | 21 | 4 | 3 | 0 | 10:1 | 15 | 2 | 0 | 4 | 7:13 | 6 |
| 9 | ფრაიბურგი (6) | 03.03 | 17.02 | 21.04 | 17.03 | 1:3 | 3:0 | 2:0 | 07.04 | ■ | 24.03 | : | 04.05 | 06.02 | 1:1 | 3:1 | 27.01 | 09.12 | 2:2 | 13 | 4 | 4 | 5 | 18:20 | 16 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 11 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| 10 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | 0:1 | 1:0 | 27.01 | 1:2 | 31.03 | 03.03 | 0:0 | 21.04 | 2:2 | ■ | 04.05 | 17.02 | 14.04 | 09.12 | 0:0 | 17.03 | 06.02 | 2:2 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:18 | 14 | 1 | 4 | 2 | 6:7 | 7 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 |
| 11 | მიუნხენი 1860 (11) | 1:4 | 1:5 | 0:4 | 1:3 | 17.02 | 06.02 | 17.03 | 27.04 | 14.04 | 16.12 | ■ | 1:1 | 2:1 | 03.03 | 02.12 | 1:0 | 27.01 | 31.03 | 13 | 4 | 2 | 7 | 16:26 | 14 | 2 | 1 | 4 | 7:18 | 7 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 7 |
| 12 | ჰამბურგი (13) | 14.04 | 31.03 | 2:3 | 27.04 | 4:0 | 0:4 | 0:0 | 2:0 | 16.12 | 3:3 | 03.02 | ■ | 17.03 | 0:1 | 19.12 | 03.03 | 10.02 | 02.12 | 13 | 3 | 4 | 6 | 14:18 | 13 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 8 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| 13 | ვოლფსბურგი (9) | 19.12 | 27.04 | 2:0 | 03.02 | 07.04 | 24.03 | 16.12 | 0:2 | 1:1 | : | 24.02 | 0:1 | ■ | 21.04 | 10.02 | 5:0 | 10.03 | 1:1 | 13 | 3 | 3 | 7 | 18:19 | 12 | 2 | 2 | 2 | 9:5 | 8 | 1 | 1 | 5 | 9:14 | 4 |
| 14 | ჰანზა როსტოკი (12) | 0:3 | 16.12 | 10.03 | 0:2 | : | 0:1 | 19.12 | 24.02 | 10.02 | 27.04 | 2:2 | 24.03 | 02.12 | ■ | 0:0 | 07.04 | 3:0 | 03.02 | 13 | 3 | 3 | 7 | 11:19 | 12 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 | 2 | 1 | 4 | 6:11 | 7 |
| 15 | ენერგი კოტბუსი (14) | 2:3 | 0:3 | 09.12 | 0:2 | 06.02 | 27.01 | 03.03 | : | 31.03 | 07.04 | 21.04 | 1:0 | 3:3 | 17.02 | ■ | 1:0 | 04.05 | 17.03 | 13 | 3 | 3 | 7 | 13:25 | 12 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:14 | 5 |
| 16 | ნიურნბერგი (დ) | 27.04 | 14.04 | 0:2 | 19.12 | 1:3 | 10.03 | 02.12 | 2:4 | 2:0 | 1:2 | 10.02 | 0:0 | 31.03 | 2:0 | 03.02 | ■ | 24.02 | 16.12 | 13 | 3 | 1 | 9 | 10:24 | 10 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 | 1 | 0 | 5 | 2:13 | 3 |
| 17 | კიოლნი (10) | 1:2 | 0:2 | 03.02 | 02.12 | 03.03 | 17.02 | 31.03 | 19.12 | 27.04 | 0:2 | 2:0 | 2:1 | 0:4 | 17.03 | 16.12 | 1:2 | ■ | 14.04 | 13 | 2 | 2 | 9 | 9:25 | 8 | 2 | 0 | 5 | 6:13 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:12 | 2 |
| 18 | ზტ. პაული ჰამბურგი (დ) | 17.02 | 06.02 | 07.04 | 1:2 | 0:0 | 09.12 | 0:2 | 24.03 | 10.03 | 24.02 | 0:3 | 21.04 | 27.01 | 0:1 | 4:0 | 04.05 | : | ■ | 13 | 1 | 4 | 8 | 12:25 | 7 | 1 | 1 | 4 | 5:8 | 4 | 0 | 3 | 4 | 7:17 | 3 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა. 2001-02. XIV ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.11.01 | 22.00 | 012 | 1:2ალემანია; უნიონი0:0; 2:4კარლსრუე **ფიურტი** V **უნტერჰახინგი** დუისბურგი0:1; 0:2არმინია; აინტრახტი0:1 | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | : | - | - | 0:0 1:4 |
| 23.11.01 | 22.00 | 013 | 1:0უნტერჰახინგი; ალემანია5:0; 1:0უნიონი **დუისბურგი** V **ბოხუმი** არმინია0:0; 0:1აინტრახტი; ზაარბრიუკენი3:2 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | : | - | - | - |
| 23.11.01 | 22.00 | 014 | 1:1მაინცი; ბოხუმი1:0; 1:0უნტერჰახინგი **აინტრახტი** V **ჰანოვერი** ზაარბრიუკენი0:0; 4:1შვაინფურტი; ვალდჰოფი2:0 | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | : | - | - | - |
| 24.11.01 | 18.00 | 015 | 0:0ბოხუმი; უნტერჰახინგი2:0; 2:3ალემანია **არმინია** V **მაინცი** აინტრახტი1:1; 1:0ზაარბრიუკენი; შვაინფურტი4:1 | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | : | 4:2 4:1 | - | 1:0 1:3 |
| 24.11.01 | 18.00 | 016 | 0:0ჰანოვერი; მაინცი0:1; 2:3ბოხუმი **ზაარბრიუკენი** V **ობერჰაუზენი** შვაინფურტი5:0; 1:1ვალდჰოფი; როიტლინგენი0:1 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | : | 3:2 1:4 | - | - |
| 25.11.01 | 18.00 | 017 | 3:0ბაბელსბერგი; ალენი3:2; 1:0ობერჰაუზენი **როიტლინგენი** V **კარლსრუე** უნიონი1:1; 4:2ბაბელსბერგი; ფიურტი4:2 | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | : | - | - | - |
განსახილველი საკითხები და დასასჯელები ბევრი არ ყოფილა. დისციპლინარებმაც აკადემიის რექტორ ომარ გოგიაშვილის თამადობით საქმე სულ 45 წუთში მოილიეს. თუმც კი კომიტეტის წევრებს ყველაზე მეტად რაზეც უნდა ემსჯელათ, ის მომავალი კვირისთვის გადადეს — გუშინ „ლოკომოტივის" მწვრთნელ კახა ცხადაძის საქციელი უნდა შეეფასებინათ. მე-15 ტურის „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" მატჩისას და მის შემდეგაც რკინიგზელთა მწვრთნელმა ფედერაციის ჩინოსნებისა და მსაჯების მისამართით უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა, რაც მატჩის ინსპექტორმა ანატოლი მილჩენკომ და არბიტრმა მერაბ მალაღურაძემ თავ-თავიანთ პატაკებში დააფიქსირეს კიდეც. გუშინდელ სხდომაზე თავად კახა ცხადაძე იყო მიწვეული, მაგრამ ის დისციპლინარებთან არ გამოჩენილა და მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტმა ცხადაძის გარეშე დააპირა ამ საკითხის განხილვა, თავმჯდომარის მოთხოვნით ეს საქმე იქით ოთხშაბათისთვის გადაიდო.

— კახა ცხადაძე კარგი ფეხბურთელი იყო და შესაძლოა, მისგან ასეთივე მწვრთნელი დადგეს, მაგრამ ის თუ ჩვენ პატივს არ გვცემს, ჩვენც შესაბამისად უპატივცემლოდ მოვექცევით. ვადროვოთ ერთი კვირაც და თუ შემდეგ სხდომაზეც არ გამოცხადდა, უმკაცრესად დავსაჯოთ. იქამდე კი იგი თამაშს სათადარიგოთა სკამიდან ვერ უხელმძღვანელებს, ტრიბუნაზე იჯდეს — თქვა ომარ გოგიაშვილმა, დისციპლინარებმა ცოტაც ანატოლი მილჩენკოს მოუსმინეს და სხდომაც დამთავრდა. იქამდე კი წინა ოთხშაბათიდან გადადებულ „გუჯაბიძის საქმეზე" იმსჯელეს. ალბათ გეხსომებათ, 27 ოქტომბერს „სიონი" — „მერანის" მატჩისას მასპინძელთა სასარგებლოდ დანიშნულმა პენალტმა სტუმრები აღაშფოთა. ისინი მსაჯ დოგრაშვილს მიეჭრნენ და გადაწყვეტილების შეცვლა მოთხოვეს. ამ დროს კი „მერანის" მცველმა გოჩა გუჯაბიძემ მსაჯს ხელი ჩასცხო. ეს ფაქტი მატჩის ინსპექტორ გია ძამუკაშვილის მოხსენებით ბარათშიც არის დაფიქსირებული, თუმც არბიტრს მისივე შეურაცხმყოფელი ვერ დაუნახავს. ეს ეპიზოდი დოგრაშვილის თანაშემწეებსაც არ შეუნიშნავთ, რისთვისაც დოლიძესა და მენთეშაშვილს უკვე მოუხდათ ორი ტური უქმად ყოფნა. მოკლედ, წინა სხდომაზე კომიტეტმა საგანგებო კომისია შექმნა ამ საკითხის განსახილველად და გუშინ სწორედ ამ კომისიის წევრების — რევაზ ჩილაჩავასა და ზურაბ პეტრიაშვილის მოთხოვნით, გუჯაბიძეს ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრებამდე აუკრძალეს თამაში, 1000 ლარით დააჯარიმეს და ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს. ჩილაჩავასა და პეტრიაშვილის თქმით, გუჯაბიძეს არბიტრისთვის მსუბუქად ჩაურტყამს, თანაც ის უსაქციელობაში პირველადაა მხილებული, ოჯახის პატრონია და ამჯერად მთელი სიმკაცრით არ დასაჯეს. თუმც ისიც დააყოლეს, რომ მსგავსი ინციდენტის განმეორებისას გუჯაბიძეს ფეხბურთს საერთოდ ჩამოაშორებენ. მომხდარი ფაქტი თავად ფეხბურთელმაც მოინანია.

სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, გუჯაბიძის გარდა დაისაჯა სამტრედიის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი ლევან კეკელიძე, რომელიც ზუგდიდში „ლაზიკასთან" მატჩისას არბიტრ ანიაშვილის თანაშემწესთან გაუთავებელი კამათის გამო მოედნიდან გააძევეს. სამტრედიელი ოთხ მატჩს გამოტოვებს და 200 ლარს გადაიხდის. ანალოგიურადვე დაისაჯა რუსთავის „გორდას" მწვრთნელი თენგიზ კაცია, რომელმაც „ტორპედო" — „გორდას" თამაშის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ მსაჯებს ერთი-ორი მკვახედ მიაძახა.

**კობა ინასარიძე**

# ერთგზის მერი, ორგზის პრეზიდენტი



ლაშა მინდელი

**ამას წინათ** რუსთავის „გორდას" პრეზიდენტი თემურ ბუიღლიშვილი თანამდებობიდან გადადგა. პრეზიდენტის გადაწყვეტილება რუსთაველი გუნდის [illegible] მსაჯთა კორპუსის კონფლიქტს მოჰ[illegible]. ბუიღლიშვილი დიდსულოვნად მოიქცა და პრეზიდენტებისთვის უჩვეულო განცხადება გააკეთა: „ჩემს გამო შესაძლოა ზეწოლა მოახდინონ „გორდაზე". „რადგან ჩემთვის უპირველესი გუნდის ინტერესებია, სჯობს გადავდგე. „გორდას" პრეზიდენტის სავარძლის გარეშეც მივხედავ და ყურადღებას არ მოვაკლებ".

ეს თქვა ბუიღლიშვილმა და „გორდას" პრეზიდენტობა რუსთავის მერს ლაშა მინდელს შესთავაზა. მინდელმა დრო ითხოვა პასუხის მოსაფიქრებლად.

ლაშა მინდელს გუშინწინ დავუკავშირდით. რამდენიმე დღეში რუსთავის მერი „გორდას" პრეზიდენტობას, ალბათ, ოფიციალურად შეითავსებს.

„ბუიღლიშვილის გადაწყვეტილებამ გული დამწყვიტა. მან ბევრი რამის გაკეთება შეძლო „გორდასთვის" და რუსთავისთვის. საწყენია, რომ დაპირისპირება მოუხდა მსაჯთა კორპუსთან. მისი შენიშვნები აბსოლუტურად სამართლიანი იყო. გადადგომის შემდეგ დამიკავშირდა ბუიღლიშვილი და პრეზიდენტობა შემომთავაზა. მე მას ვუთხარი, რომ ამ წინადადებას მხოლოდ ერთი პირობით დავთანხმდებოდი — თუ გუნდში დარჩებოდა. საბედნიეროდ, ბუიღლიშვილს გული არ ასცრუებია ფეხბურთზე, და კვლავაც დაეხმარება „გორდას". ამიტომ 99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ „გორდას" პრეზიდენტობას შევითავსებ. ბუიღლიშვილს რამდენიმე დღეში უნდა შევხვდე და ალბათ ოფიციალურად გადაწყდება ეს ამბავი" — გვითხრა სატელეფონო საუბრისას ლაშა მინდელმა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ მინდელი აქამდეც ყოფილა „გორდას" პრეზიდენტი და იგი რუსთავის მერად დანიშვნის შემდეგ ვალერი ქოქიაშვილმა შეცვალა.

თუ მინდელი „გორდას" პრეზიდენტი გახდა, ეს მისი მეორე თანამდებობა იქნება შეთავსებით. რუსთავის მერი დღესდღეობით ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიცაა.

**პაატა კვანტალიანი**

# ქართველებმა მოლდოვა გაიყვეს

## ტრავმირებული, მწვრთნელგამოცვლილი და შერიფს ჩამორჩენილი ზიმბრუელი...



ლევან გვაზავა

**გუშინწინ** ჩამოვიდა თბილისში, გუშინ უკვე მშობლიურ ხობში იყო, ხუთ დღეში კი ისევ უკან, მოლდოვაში უნდა გაბრუნდეს. ლაპარაკია კიშინოვის „ზიმბრუს" მოთამაშე ლევან გვაზავაზე, რომელმაც მის მოლდოვურ კარიერაზე ეს გვითხრა.

— ბოლო ტურებში არ მითამაშია, აქილევსის მყესები დამეჭიმა და ვმკურნალობდი, ამიტომ დავრჩი მხოლოდ სამი გატანილი გოლის ამარა. სამაგიეროდ, ლადო ახალაია ყოჩაღობს, 6 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირებშიც გაერია.

...სამი ქართველიღა დავრჩით მოლდოვაში: მე, ლადო ახალაია და შერიფელი ვაჟა თარხნიშვილი. სულ ახლახან შევხვდით ვაჟას. „ზიმბრუ" „შერიფს" ესტუმრა და ქულაც წამოვიღეთ ტირასპოლიდან. მიუხედავად ამისა, პირველი წრის შემდეგ „შერიფი" ცხრა ქულითაა წინ.

...თავიდან დავიწყეთ ცუდად. ტირასპოლელებმა კი იმარჯვეს და ქულებიც ბლომად დააგროვეს. ამ წარუმატებლობას ჩვენი მწვრთნელი სპირიდონი შეეწირა. კლუბის თავკაცობამ მის ნაცვლად ტირასპოლელი სპეციალისტი ვლადიმირ ვებერი მოიწვია.

...„ზიმბრუსთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს. ალბათ, ვადის გასრულებამდე მოლდოვაში დავრჩები. კლუბის წარმომადგენლები არ მიმალავენ, რომ ჩემით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მაგრამ კონკრეტულად არავინ არაფერს მეუბნება.

...ახალაია ჯერაც კიშინიოვშია, მე ხუთ დღეში უკან გავბრუნდები. მოსამზადებელი ეტაპი „ზიმბრუს" ჯერ არ დაუგეგმავს. ალბათ, როგორც ადრე იყო, ისევ ისე მოვემზადებით. ვარჯიშს კიშინიოვში დავიწყებთ და მერე უცხოურ შეკრებებზე წავალთ.

**გამუკა კვანტალიანი**

# იტალიური ფატრო ქართულ ფონზე

**შაბათს** „ეროვნულზე" თეთრებში გამოწყობილმა „ვიტ ჯორჯიამ" „დინამოს" ხუთი გოლი გაუტანა და ძალიანაც გაიხარა. ბევრი რამ იყო მოულოდნელი იმ მატჩში, მაგრამ ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამაც მიიპყრო — ვიტელებს თეთრ მაისურაზე დიდი ასოებით წაეწერათ: „FATRO".

ხომ არ შეუცვლიათ ვიტელებს ტექნიკური სპონსორი, იქნებ კლუბის თავკაცობამ ესპანურ „კელმეს" იტალიური „ფატრო" არჩია? ამ კითხვით მივმართეთ კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს.

— არა, „ვიტ ჯორჯიას" ტექნიკური სპონსორი ისევ „კელმეა" და მასთან ხელშეკრულება გვაკავშირებს, თუმც არც „ფატროა" ჩვენთვის ახალი და უცხო. ეს იტალიური ვეტერინარული კომპანია, რომლის ცენტრალური ოფისი ბოლონიაშია, „ვიტ ჯორჯიას" პარტნიორი გახლავთ. ჩვენ მათი წარმომადგენლები ვართ ესენგეს ქვეყნებში და არცთუ მცირე ხანია, ვთანამშრომლობთ.

„ფატრო" აფინანსებს „ვიტ ჯორჯიას" შეკრებებს იტალიაში. თავის მხრივ, იტალიელები მოითხოვენ, ზოგ შეხვედრაში მათი ლოგოთი დამშვენებული მაისურებით ვითამაშოთ. ეს ვრცელდება ეროვნული ჩემპიონატის იმ მატჩებზე, რომლებიც ტელევიზიით გადაიცემა და იტალიაში, შეკრებისას მოწყობილ საკონტროლო შეხვედრებზეც.

ჩვენი გუნდი ნაახალწლევს იტალიაში აპირებს შეკრების მოწყობას. დაბა ალასიოში, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის მიწვევით ორ კვირას ვივარჯიშებთ. სპონსორი კი „ფატრო" იქნება.

**გამუკა კვანტალიანი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანია თამაშობს, მაიამი — ვერა



AP მაიამიდან

მაიამი — მინესოტა. ვლადიმერ სტეფანიამ ჯო სმიტი ფართან არ მიუშვა

20 ნოემბერი

**მაიამი 73:80 მინესოტა**

**მაიამი: კარტერი, ჯონსი (12), ელისი (17), მარქსი (11 ქულა, 11 მოხსნა), სტეფანია (31 წუთი, 11 ქულა, 12 მოხსნა, 1 დაფარება); ჰაუსი (17), სტრიკლენდი (3), ჰამილტონი (2), გეტლინგი, მეკი**

**მინესოტა: ბრენდონი (19), შჩერბიაკი (22), გარნეტი (10 ქულა, 16 მოხსნა), სმიტი (8), ნესტეროვიჩი (16 ქულა, 10 მოხსნა); ბილაფსი (1), პილერი (2), ტრენტი (1), ვუდსი, მიტჩელი**

ლიგის ერთ-ერთი ყველაზე კუნთმაგარი და ამავდროულად ათასგვარი დაავადება-ვირუსებით შიგნიდან შეჭმული ალონზო მურნინგი სისხლის ანალიზის შედეგს ელოდება და ასევე ჯანმაგარ ძმაკაც ბრაიან გრანტთან ერთად საკუთარი გუნდის შორიდან გულშემატკივართა სიაში ჩაეწერა. მისი „მაიამი" კი თამაშს თამაშზე აგებს. მაიამელები ვერც მინესოტელ „მგლებს" მოერივნენ. ზედიზედ მეექვსე მარცხისაგან ვერც შინაურმა კედლებმა და გულშემატკივრებმა, რომელთაც ჯერაც არ ასცრუებიათ გული, უშველეს. „მაიამიმ" ზედიზედ ექვსჯერ ბოლოს შვიდი წლის წინ წააგო, ათი თამაშიდან ორად ორი მოგება აქვს და ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის ფსკერზე მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონს" შეამხანაგებია. ფლორიდელებს ამაზე ცუდი სტარტი მხოლოდ ერთხელ, 1988 წელს ჰქონდათ. მაშინ, ნბა-ში ყოფნის პირველ სეზონში, „ჰითმა" პირველ გამარჯვებამდე 17 თამაში იცადა.

ორი ათეული წელია, პატ რაილი ნბა-ს გუნდებს თამაშს ასწავლის და პირველად მოხდა, რომ მისმა შეგირდებმა ზედიზედ მეექვსედ თავჩახრილებმა დატოვეს დარბაზი. დიდმა პატმა აღარ იცის, რა ქნას.

ზედიზედ მეორე თამაშია, მან ძირითად ცენტრად ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია გაამწესა და ქართველიც უმართლებს. ზოგადად სტეფანია აბა, როგორ დაეტოლება მურნინგს, თუმც ბოლო შეხვედრებში გუნდისთვის არანაკლები სარგებელი მოაქვს. მაგრამ სტეფანია იმ დონის კალათბურთელი ვერაა, ნბა-ში მარტომ რამე გადაწყვიტოს, „მაიამიც" აგებს და აგებს.

სამშაბათს „მინესოტასთან" შეხვედრაში ვოვა ძველ ნაცნობს, რადონსლავ ნესტეროვიჩს შეეჯახა. სწორედ იმ ნესტეროვიჩს, სლოვენიურ „ოლიმპიაში" ქართველის შემცვლელი რომ გახლდათ, ამ ბოლო წლებში კი „მინესოტას" ძირითადი ცენტრია. სტეფანია და სურდომოხდილი შონ მარქსი მონაცვლეობით მეურვეობდნენ ნესტეროვიჩს და ჯო სმიტს და, გარდა ამისა, კევინ გარნეტის მადევარ ლაფონსო ელისს დროდადრო ხელს აზმარდნენ ამ მონსტრის გაუვნებლებაში. „მაიამის" მაღლებმა მიაღწიეს უპირველეს საწადელს — ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე კევინ გარნეტი არ გააპარპაშეს და ათ ქულას დააჯერეს. ექვსი პერსონალურით გააგდეს ჯო სმიტი, მაგრამ დიდების ნალვაწი „შარლოტთან" შეხვედრის დარად კვლავ დაბალმა მაიამელებმა გაანიავეს. ჯონსმა და კარტერმა ჯამში 12 ქულა შემატეს საერთო მონაგარს მაშინ, როცა მათმა ოპონენტებმა, ბრენდონ-შჩერბიაკის დუეტმა, 41 ქულა მოიხვეჭა. აქვე აღვნიშნოთ, რომ მაიამელთა შორის საუკეთესო იყო ლაფონსო ელისი, რომელიც ამ სეზონის წინ „მაიამიში" „მინესოტადან" გადავიდა. გადმობარგებისას კი უთქვამს, მინეაპოლისი ჩემი სახლია, მაგრამ მაიამი ის ადგილია, სადაც ღმერთმა ჩემი გაშვება ისურვაო. ლაფონსომ ყოფილ თანაგუნდელებს 17 ქულა ჩაუგდო.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ უხეირო სეზონში „მაიამის" მაინც აქვს რაღაც სატრაბახო. „ჰითისთვის" ჯერ არავის ჩაუგდია ასი და მეტი ქულა, რაც ადასტურებს, რომ როგორც ყოველთვის, რაილის გუნდს დაცვაში თამაში გამართული აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, შეტევაში უზარმაზარი პრობლემებია. „მინესოტას" ზონურმა დაცვამ კიდევ ერთხელ ამხილა მაიამელ შემტევთა უსუსურობა. პატ რაილის უცილობლად მართებს გუნდის მექანიზმში რაღაცის შეცვლა, ყოველ შემთხვევაში, შეტევაში მაინც. ენტონი კარტერი აშკარად ცუდი ორგანიზატორია, ხოლო ედი ჯონსი იქნებ მეტ თავისუფლებას საჭიროებდეს.

**ვაშინგტონი 88:95 შარლოტი**

**ვაშინგტონი: ჯორდანი (30), დევისი (18)**
**შარლოტი: დევისი (32), ნეილონი (18), ჯამბელი (15)**

**კლიპერსი 93:98 ლეიკერსი**

**კლიპერსი: ბრენდი (22 ქულა, 19 მოხსნა), რუქსი (16), მაილზი (16)**
**ლეიკერსი: ბრაიანტი (25 ქულა, 12 პასი), ონილი (22 ქულა, 11 მოხსნა)**

**დალასი 97:105 სიეტლი**

**დალასი: ფინლი (26), ნეში (25)**
**სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 10 პასი), ბეიკერი (24), მეისონი (20)**

**ტორონტო 84:88 დეტროიტი**

**ტორონტო: კარტერი (28), ოლაჯუონი (14 ქულა, 20 მოხსნა, 5 დაფარება)**
**დეტროიტი: რობინსონი (22), სტეკჰაუზი (19)**

**პორტლენდი 87:94 ჰიუსტონი**

**პორტლენდი: ველსი (28)**
**ჰიუსტონი: ვილიამსი (31)**

**გოლდენ სტეიტი 70:94 ნიუ იორკი**

**გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (12)**
**ნიუ იორკი: სპრიუელი (29)**

**ინდიანა 106:102 ატლანტა**

**ინდიანა: ტინსლი (29 ქულა, 11 პასი), მილერი (22), როუზი (18), ონილი (16)**
**ატლანტა: ტერი (35), აბდურ-რაჰიმი (20 ქულა, 14 მოხსნა)**

„მაიამი ჰითზე" შავად საქმეები „ვაშინგტონს" მისდის. მაიამელებს შეუძლიათ, ყველაფერი ტრავმებს გადააბრალონ, ხოლო ვაშინგტონელები თითიდანაც ვერ გამოიწოვენ გამამართლებელ საბუთებს. არსებობს, უფრო ზუსტად კი არსებობდა, მოარული აზრი, მაიკლ ჯორდანი ყოველთვის გამარჯვებულიაო. დღეს ამ ფრაზაში იმდენივე ტყუილია, რამდენიც ძველ დროში სიმართლე იყო. „ვაშინგტონმა" ამ სამშაბათს ზედიზედ მეშვიდედ წააგო და ჯამში ათ შეხვედრაში რვა მარცხი მოუგროვდა. სწორედ ასეთი შედეგი ჰქონდა ამ გუნდს შარშან, როცა მაიკლი არ თამაშობდა. თითქოს ყველაფერი ბებერ ჯორდანს უნდა დაბრალდეს, მაგრამ „ჯადოქართა" უშნო თამაშში იგი ყველა სხვაზე ნაკლებადაა დამნაშავე.

მაიკლს ჯერ არ ჩაუგდია 19 ქულაზე ნაკლები. „შარლოტთან" ოცდაათს მოუყარა თავი და ამაზე მეტს ახლა კი არა, ათი წლის წინ ვერავინ მოითხოვდა მისგან, მაგრამ დიად კალათბურთელს შრომა-წვალება ისევ თანაგუნდელებმა ჩაუყარეს წყალში. „ვაშინგტონის" სასტარტო ხუთეულის დანარჩენმა ოთხმა წევრმა საერთო საქმისთვის, რასაც გამარჯვება ჰქვია, მხოლოდ ექვსი ქულა (!) გაიღო. ვინ იცის, მაიკლი იქნებ ნანობს კიდეც, რა ღმერთი გამიწყრა, ეს სად შემოვყავი თავიო.

**ირაკლი ფირცხალავა**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 7 | 3 | 70,0 |
| ბოსტონი | 5 | 3 | 62,5 |
| ფილადელფია | 5 | 5 | 50,0 |
| ორლანდო | 5 | 6 | 45,5 |
| ნიუ იორკი | 5 | 7 | 41,7 |
| ვაშინგტონი | 2 | 8 | 20,0 |
| მაიამი | 2 | 8 | 20,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 6 | 1 | 85,7 |
| დეტროიტი | 7 | 2 | 77,8 |
| ტორონტო | 7 | 5 | 58,3 |
| ინდიანა | 7 | 6 | 53,8 |
| შარლოტი | 5 | 5 | 50,0 |
| ატლანტა | 3 | 8 | 27,3 |
| კლივლენდი | 2 | 9 | 18,2 |
| ჩიკაგო | 1 | 9 | 10,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| მინესოტა | 9 | 1 | 90,0 |
| სან ანტონიო | 7 | 2 | 77,8 |
| ჰიუსტონი | 7 | 5 | 58,3 |
| დალასი | 6 | 5 | 54,5 |
| დენვერი | 6 | 5 | 54,5 |
| იუტა | 4 | 7 | 36,4 |
| მემფისი | 1 | 8 | 11,1 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 9 | 1 | 90,0 |
| საკრამენტო | 8 | 3 | 72,7 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 6 | 50,0 |
| პორტლენდი | 6 | 6 | 50,0 |
| ფინიქსი | 5 | 6 | 45,5 |
| კლიპერსი | 5 | 6 | 45,5 |
| სიეტლი | 5 | 7 | 41,7 |



ახალი სახეები კალათბურთის ფედერაციაში: ვიცე-პრეზიდენტი მამუკა კაციტაძე და გენერალური მდივანი პაატა გურასპაული

# გამოსავალი ერთია: შემოსავალი!

## ბესიკ ლიპარტელიანმა საპრეზიდენტო გუნდი შეკრა

**კალათბურთის** ფედერაციის პარასკევს არჩეული პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი მარტო აღარაა. გუშინ მან პრეზიდიუმის დახმარებით ორი ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი დაამტკიცა. ეს ადრე თუ გვიან მოხდებოდა, ხოლო ის, რომ ლიპარტელიანს მას ვეტერანებმაც ნდობა გამოუცხადეს, რითაც წინა პრეზიდენტი ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა, ქართული კალათბურთისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

შეგახსენებთ, რომ წარსულის ორმა დიდმა კალათბურთელმა — გურამ მინაშვილმა და ნოდარ ჯორჯიკიამ გოგი ქათამაძისეული აღმასკომი პრეზიდენტის, მათი აზრით, არამიზანმიმართული საქმიანობის გამო დატოვეს, დღეს კი ისინი გუშინვე დამტკიცებული თერთმეტკაციანი აღმასკომის წევრები არიან.

სპორტის დეპარტამენტში პირველად შეკრებილ პრეზიდიუმს საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული მიხეილ ქორქიას გარდა რამდენიმე წევრიც აკლდა, თუმცა ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის არჩევაში ამას ხელი არ შეუშლია. ბესიკ ლიპარტელიანმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა შეკრებილთ მხარდაჭერისათვის და კანდიდატების წარდგენას შეუდგა. ვიცე-პრეზიდენტებად ამ პოსტზე აქამდე მყოფი დუდუ დადიანი და სტუ-ს პრეზიდენტი მამუკა კაციტაძე დაასახელა. გენერალურ მდივნად კი ახალმა პრეზიდენტმა ვეტერანი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორე მწვრთნელი პაატა გურასპაული შესთავაზა პრეზიდიუმს. შემდეგ კი იმ თერთმეტი პირის გვარ-სახელმაც გაიჟღერა, რომლებსაც ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი უნდა შეედგინათ. ამ სიაში მოხვდნენ: ნოდარ ჯორჯიკია, გურამ მინაშვილი, ბესიკ ლიპარტელიანი, ავთანდილ იოსელიანი, დუდუ დადიანი, მამუკა კაციტაძე, პაატა გურასპაული, მერაბ ემირიძე, კახა ნუცუბიძე, როლანდ ხომერიკი და მურმან ქურიძე.

სანამ კენჭისყრა გაიმართებოდა, ბესიკ ლიპარტელიანმა იმ ღონისძიებებზე ილაპარაკა, რომლებსაც ზემოჩამოთვლილი პიროვნებების არჩევის შემთხვევაში განახორციელებდა, რა თქმა უნდა, მათთან ერთად. მისი თქმით, ახალი ხელმძღვანელობა მომავალი კვირიდანვე შეუდგება ფედერაციის სტრუქტურულ რეორგანიზაციას, ჩამოყალიბდება კომიტეტები, რომლებიც კალათბურთის სხვადასხვა სფეროებს უხელმძღვანელებენ და რომელთა დაკომპლექტებაც უშუალოდ ამ დარგში მოღვაწე სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად მოხდება. ისიც ითქვა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ამ წელს აღარ გაიმართება და იგი სავარაუდოდ იანვრის ბოლოდან, ანაც თებერვლის დასაწყისიდან განახლდება. შესვენების პერიოდში კი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი კეთილმოეწყობა. ამ საკითხის მერიასთან მოგვარებას აღმასკომის წევრი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი შეეცდება. ლიპარტელიანმა ჩვენი კალათბურთის კიდევ მრავალ პრობლემაზეც ილაპარაკა, რომელთა მოგვარებაც უცხოელ და ქართველ ბიზნესმენთა დახმარებით განუზრახავს: მათთან კონსულტაციები ჰქონია, რომლებიც წარმატებით დასრულებულა.

ბოლოს კი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე პრეზიდიუმმა ვიცე-პრეზიდენტებად ბესიკ ლიპარტელიანის მიერ დასახელებული კანდიდატურები — დუდუ დადიანი და მამუკა კაციტაძე დაამტკიცა, მას არც პაატა გურასპაულისა და აღმასკომის თერთმეტეულისადმი გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია. ახალარჩეულებმა მადლობა გადაუხადეს პრეზიდიუმის წევრებს მხარდაჭერისთვის და სპორტის დეპარტამენტის დარბაზში შეკრებილებიც მიიშალ-მოიშალნენ.

**მამუკა კაციტაძეს** ვიცე-პრეზიდენტობა მივულოცეთ და კომენტარიც ვთხოვეთ:

— უპირველეს ყოვლისა, მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო პრეზიდიუმის წევრებს ჩემი მხარდაჭერისთვის. ის ფაქტი, რომ მე, ისევე როგორც ბესიკ ლიპარტელიანის მიერ წამოწყებულ სხვა კანდიდატებს არანაირი წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია, იმ უდიდეს ნდობაზე მეტყველებს, რომელიც პრეზიდიუმმა და მთლიანად ქართულმა საკალათბურთო საზოგადოებამ ახალი პრეზიდენტის მიმართ გამოხატა.

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია კალათბურთში ვტრიალებ, ჩემთვის თავისებურად უცხოა ეს თანამდებობა, მაგრამ მიმაჩნია, რომ დაკისრებულ მოვალეობებს თავს გავართმევ. ამისთვის კი აუცილებელი პირობა უკვე არსებობს, ჩვენ ყველა ერთ აზრზე ვდგავართ. ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობაში არავითარი წინააღმდეგობები არ არსებობს. მე ყველაფერში მხარს ვუჭერ ახალ პრეზიდენტს, განსაკუთრებით კი ფინანსურ პოლიტიკაში, ვთვლი, რომ კალათბურთს სხვა მხრივ უნდა მივუდგეთ და იგი მოგების მომტან სახეობად უნდა გადავაქციოთ. ამას კი ხანგრძლივი და რეფორმატორული მუშაობა სჭირდება, რომლის სწორად წარმართვისთვის ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ.

**— როგორც ამბობენ, „ჯეოსელთან" მჭიდრო კავშირი გაქვთ...**

— ასეა და გამორიცხული არ არის, ეს ფირმა, როგორც ფინანსური პარტნიორი, კალათბურთის ფედერაციაში მოვიწვიოთ.

**— თქვენი, როგორც სტუ-ს პრეზიდენტის საქმე როგორ იქნება?**

— მას შემდეგ, რაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს, ამ თანამდებობის დატოვება გადავწყვიტე. ამიერიდან ჩემი კალათბურთში მოღვაწეობა მხოლოდ ფედერაციაში საქმიანობით შემოიფარგლება.

**ირაკლი ბერტაია**

# გოგი თოფაძე მზიური ველის სერენადას გვპირდება

*მოახლოებულ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს გოგი თოფაძეს.*



ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო

**— ბატონო გოგი, ვიცით, რომ საქართველოს გუნდი აპირებს სოლტ ლეიკ სიტიში ასპარეზობას, მაგრამ ბევრი იკითხავს, ღირს კი ოკეანის გაღმა მგზავრობა და ხარჯების გაწევა ბოლო ადგილების დასაკავებლადო?**

— ამას სპორტში ჩაუხედავნი და დილეტანტები თუ იტყვიან. ოლიმპიური თამაშები უდიდესი ფორუმია. მასში მონაწილეობისთვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა იბრძვის. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისთვის პოსტსაბჭოური ქვეყნებიც გამოდგება. ბევრი მათგანისთვის დღესაც გადაულახავია ის რთული ბარიერი, რომლის დაძლევაც ამ უდიდეს ფორუმზე გამოსვლისთვისაა საჭირო. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას ცდილობენ აფრიკის სპორტსმენებიც, ჩვენ კი გარკვეულ სახეობებში წარმატებებით თუ ვერ დავიკვეხნით, ყოველ შემთხვევაში იმდენი მაინც გავაკეთეთ, რომ შესანიშნავი, იმედისმომცემი ახალგაზრდული გუნდი ჩამოვაყალიბეთ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თეთრ ოლიმპიადებზე საქართველომაც თქვას თავისი სიტყვა. მით უმეტეს, რომ ეს პრესტიჟის საკითხიცაა.

სამწუხაროდ, ჩვენს ბიუჯეტში სპორტისთვის პრაქტიკულად არანაირი სახსრები არ დარჩა. ჩვენდა სავალალოდ, როდესაც ოლიმპიური მზადების ციკლი ნაგანოს ზამთრის თამაშების დასრულებისთანავე უნდა დაგვეწყო, თანხების უქონლობის გამო ეს შეუძლებელი გახდა. არადა, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის, ისე როგორც სხვა ამგვარი ასპარეზობებისთვის მოსამზადებელი პროცესის ნორმალურად დაგეგმისთვის აუცილებელია გარკვეული თანხები, რომელსაც, სამწუხაროდ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ვერ იღებს. ასეთი სიდუხჭირის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, ამაზე უარის თქმა კი დიდი შეცდომა იქნება.

**— გამოდის, რომ ბევრი მიმართვებისა და თხოვნების მერე სახელმწიფოს არანაირი თანხა არ გაუღია სპორტსმენთა მოსამზადებლად?**

— ისევე როგორც ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, ამჯერადაც დაპირება დაპირებად დარჩა. ქვეყანაში, სადაც ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის მოლოდინში ვართ, ალბათ საბოლოოდ გადაგვეწურება ყოველგვარი ოპტიმიზმი. გასული ზამთრის ოლიმპიური თამაშების მსგავსად, ახლაც სპორტის მოყვარულების, სპონსორების, ბიზნესმენების იმედი გვაქვს. იქნებ როგორმე მოვახერხოთ და გუნდი სოლტ ლეიკ სიტიში წავიყვანოთ. საამისოდ ბევრი პრობლემა გადაჭრილია. სამთო მოთხილამურეთა გუნდი უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია რაც ავსტრიასა და იტალიაში ემზადება. ძალზე დიდ დახმარებას გვიწევს და მხარში გვიდგას ფიგურულ მოსრიალეთა მწვრთნელი ირაკლი ჯაფარიძეც. მან იმდენი მოახერხა, რომ ვახტანგ მურვანიძე ფაქტობრივად წლიდან წლამდე ემზადება ხან მოსკოვში და ხან სხვა ქვეყანაში.

ასეა თუ ისე, საოლიმპიადოდ მზადების ციკლი ნორმალურად მიმდინარეობს. ვფიქრობ, სოლტ ლეიკ სიტიში ოთხ-ხუთკაციანი გუნდით წარვდგებით.

**— ვინ მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია და კიდევ ვის დარჩა საამისო შანსი?**

— გუნდში გვეყოლება ორი სამთო მოთხილამურე, ტრამპლინიდან მხტომელი და ფიგურულად მოსრიალე.

მოთხილამურე სოფიო ახმეტელი, რომლისთვისაც სოლ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშები რიგით მეორე იქნება, იმედისმომცემი სპორტსმენია. ახლო მომავალში მისგან წარმატებებს უნდა ველოდოთ. სამწუხაროდ, შარშან, როდესაც უკვე შესაბამის კონდიციამდე მივიდა, დაშავდა. მაშინ მას ერთ-ერთი მოთხილამურე დაეჯახა და ფეხი მოიტეხა. ოპერაცია იტალიაში გაუკეთდა, რის გამოც ახმეტელს ფაქტობრივად შარშანდელი სეზონი გაუცდა. ამჟამად იგი აქტიურად ვარჯიშობს.

ლიცენზია მოიპოვა ბაკურიანელმა მოთხილამურე რობერტ მახარაშვილმაც. ვფიქრობთ, უფრო სწორედ გვინდა, რომ იგივე შეძლონ თენგიზ ბაქრაძემ და ყაზბეგელმა მარიამ კაიშაურმაც. ისინი ახლოს არიან სალიცენზიო ნორმატივებთან.

სასიხარულოა, რომ ყაზბეგმა გეოგრაფიული გაფართოების საშუალება მოგვცა. ამჟამად საქართველოს ამ კუთხეში ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული მოთხილამურეა. არადა, ყაზბეგი სამთო-სათხილამურო სპორტში არასოდეს ფიგურირებდა. იქ ყინულის ლღობა გუდაურის ცენტრის, მისი მესვეურების ვახტანგ მიქელაძის და ნუკრი კოტრიკაძის დახმარებითა და ენთუზიაზმით გახდა შესაძლებელი. ეს ყოველივე გვაიმედებს, რომ მომავალში საქართველოს კარგი გუნდი ეყოლება.

რიგით მესამე ოლიმპიადისთვის ემზადება ტრამპლინიდან მხტომელი კობა წაქაძეც.

რაც შეეხება ფიგურულ ციგურაობას, ვახტანგ მურვანიძემ ზაგრებში დიდ საერთაშორისო ტურნირზე „ოქროს პირუეტზე“, რომელიც იმავდროულად ბოლო სალიცენზიო ასპარეზობა გახლდათ, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ლიცენზიასთან ერთად ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

**— ბევრი ქვეყანა ცდილობს მზამზარეული სპორტსმენის გადაბირებას. ჩვენთანაც იყო საუბარი მოსკოვში მცხოვრებ ფიგურულად მოსრიალე ანტონ სიხარულიძის გადმოყვანაზე. რატომ მიწყნარდა ეს ამბავი?**

— მართლაც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ბევრ ქვეყანაში ამგვარი პრაქტიკაა გავრცელებული. მაგალითისთვის შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელები რუსეთის ნაკრებში ვერმოხვედრილ ფიგურულად მოსრიალე სპორტსმენებს საკუთარი დროშის ქვეშ ასპარეზობას სთავაზობენ. იგივეს აკეთებენ უზბეკეთი და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და ქვეყნები, ჩვენ კი ამ გზით არ მივდივართ და არც ვაპირებთ. მიუხედავად სიდუხჭირისა, ჩვენ ჩვენივე სპორტსმენებით წარვდგებით ოლიმპიადაზე. სხვაგვარად რომ გვდომოდა, ამის საშუალება ადრეც გვქონდა. მაგალითად ერთ-ერთი უძლიერესი ტრამპლინიდან მხტომელი, ავსტრიელი გოლდბერგერი ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებამდეც გვთხოვდა საქართველოს სახელით ასპარეზობას, მაგრამ უარი ვუთხარით, რადგან გვირჩევნია ჩვენი სპორტსმენები თავადვე გავზარდოთ და მოვამზადოთ.

**— თქვენ, როგორც პარლამენტარი, მეწარმე და სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი, რას აკეთებთ იმისთვის, რომ სპონსორობის წასახალისებლად შესაბამისი კანონები მიიღოთ?**

— ჩვენდა საუბედუროდ, ძალზე ძნელია პარლამენტში იმ კანონების გატანა, რომლებიც საქართველოს წაადგება. ყოველ შემთხვევაში ეს აქამდე ვერ ხერხდებოდა. ის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც დღეს ჩვენს ეკონომიკას მართავენ, დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველო იყოს გასაღების ბაზარი. ესაა მათი სტრატეგია. ამიტომაც ამ საკითხის პარლამენტში გატანა ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ამაზე ბრძოლას. ვიმედოვნებ, რომ პარლამენტში ბოლო დროს მიმდინარე ძვრები მოგვცემს საშუალებას, რომ მივიღოთ რამდენიმე სერიოზული კანონი, რომლებიც სტიმულს მისცემს ჩვენს მეწარმეებს, ბიზნესმენებს, რათა სპორტისთვის გარკვეული თანხები გამოყონ, გააფართოვონ საქველმოქმედო საქმიანობა. გარდა ამისა, იდეაში გვაქვს სპორტის სპონსორთა კლუბის ან სპორტსმენთა სოციალური დაცვის ფონდის შექმნა. ფაქტია, რომ დღეს სპორტს, ისე როგორც კულტურას, მეცნიერებას, უჭირს, მარტო ბიუჯეტის სახსრებით კი მათ ვერ გავწვდებით. ამიტომაც საჭიროა, რომ გავაფართოვოთ სპონსორთა და ქველმოქმედთა წრე.

**— ერთხანს საუბარი იყო და თქვენც დიდად იმედოვნებდით, რომ 2000 წელს ბაკურიანში გვექნებოდა გუდაურის მსგავსი სასტუმრო და სპორტული ბაზებიც მოწესრიგდებოდა. ისიც ცნობილია, რომ მშენებლობის მოსამზადებელი და საპროექტო სამუშაოებიც მიმდინარეობდა, რისთვისაც თხილამურობის საერთაშორისო ფედერაცია (ფის) 400 ათასი დოლარის გამოყოფას აპირებდა.**

— სამწუხაროდ, საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მიმდინარე მოვლენები ნაკლებ საშუალებას იძლევა იმისთვის, რომ ფის-მა ამგვარი დახმარება აღმოგვიჩინოს. მიუხედავად ამისა, ახლო მომავალში ჩვენ მაინც გვექნება თანამედროვე ბაზა. კომპანია „ყაზბეგს“ ბაკურიანში უკვე დაწყებული აქვს ფეშენებლური სასტუმროს მშენებლობა, სამუშაობის პირველი ეტაპი დასრულებულიც კია. ასე რომ, გაისად ბაკურიანს შეემატება ერთი კარგი ბაზა. გარდა ამისა, ავსტრიაში შევუკვეთეთ ორი საბაგირო გზაც. მართალია, წლეულს მათი ჩამოტანა და დამონტაჟება ვერ მოესწრება, მაგრამ გაისად ზაფხულში ორივე გზა ამოქმედდება. დაგეგმილი გვაქვს თოვლის სატკეპნი მანქანების შეძენაც.

ერთი სიტყვით, გვექნება ყველანაირი ალჭურვილობა, რაც სამთო-სათხილამურო სპორტის და საერთოდ ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ საქმისთვის დაახლოებით მილიონ დოლარამდეა დაბანდებული. ყველა ეს სამუშაო კი გაისად დასრულდება. ასე რომ, ჩვენს სპორტსმენებს შესანიშნავი სავარჯიშო პირობები ექნებათ. ამასთან, ახლადაშენებულ ბაზებზე სპორტსმენებს გარკვეულ საათებში ყოველგვარი ხარჯების გარეშე შეეძლებათ ვარჯიში.

*გოგი თოფაძესთან საუბრისას დავრწმუნდით, რომ ბაკურიანში მზიური ველის ოლიმპიური სერენადის დაწყებას უნდა ველოდოთ. იმაშიც დავრწმუნდით, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებში, მიუხედავად იმისა, რომ იქ მედლებისთვის მებრძოლთა შორის ვერ ვიქნებით, მონაწილეობა აუცილებელია.*

**ზიზა ზურაბაშვილი**

## ხუთი რგოლი

# კონტროლი ისეთი რამეა, ვერ გაექცევა ვერავინ

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთ-ერთმა კანდიდატმა, ბელგიელმა ჟაკ როგმა პირობა დადო, თუ ოლიმპიური მოძრაობის სათავეში მივალ, დოპინგს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამოვუცხადებო. ახლა, როდესაც მსოფლიო სპორტის მმართველ ორგანოს ხელმძღვანელობს, ბელგიელი სიტყვასაც ასრულებს. ჟაკ როგი სპორტსმენებს პირველ სერიოზულ გამოცდას სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზე მოუწყობს. თუ აქამდე სპორტის ზოგიერთი სახეობის წარმომადგენლები დოპინგ-შემოწმებებისგან ასე თუ ისე დაცულნი იყვნენ, სოლტ ლეიკ სიტის თეთრი ოლიმპიადის პროგრამაში შემავალი თოთხმეტივე სახეობის მონაწილეებს ერითროპოეტინზე (ეპო) შემოწმება არ ასცდებათ. ამის შესახებ ბრიტანულ რადიოსამაუწყებლო კორპორაცია BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა. ჟაკ როგის თქმით, ეპოზე (ნივთიერება, რომელიც სისხლში ჟანგბადის გადამტანი ერითროციტების მეშვეობით სპორტსმენის ამტანიანობას ზრდის) ტესტირება ოლიმპიადის პროგრამის ყველა სახეობის წარმომადგენელთათვის სავალდებულო იქნება.

„ასეთი რამ პირველად გაკეთდება. მისი განხორციელების შემთხვევაში შემოწმებულ სპორტსმენთა 60 პროცენტის ნაცვლად სრულ 100 პროცენტს მივიღებთ“ — ხაზგასმით აღნიშნა როგმა.

შეგახსენებთ, რომ ეპო-ზე კომბინირებული ტესტირება, რომელიც სისხლისა და შარდის ანალიზებს ეყრდნობა, სოკ-მა სიდნეის ოლიმპიადაზეც ჩაატარა, მაგრამ მაშინ ამგვარი შემოწმებები არასავალდებულო, ნებაყოფლობითი იყო.

# მართლმადიდებლობა ოლიმპიადის სადარაჯოზე

**ოლიმპიზმის** მამები უკვე მერამდენედ ცდილობენ, ათენელები გამოაფხიზლონ. თუმცა, ეტყობა, ამაოდ. ასე რომ არ იყოს, მაშინ ყოველკვირეული თუ არა, ყოველთვიური რეიდები საბერძნეთის დედაქალაქში საჭირო არ იქნებოდა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს კრახი ემუქრება. სოკ-ის საკოორდინაციო კომიტეტის ხელმძღვანელი დენის ოსვალდი თვლის, რომ ოლიმპიური თამაშების სამშობლოში შექმნილი მდგომარეობა კარგს არაფერს მოასწავებს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჯერ ოლიმპიური სოფლის ობიექტთა მხოლოდ 3 პროცენტია აგებული. არსებობს სხვა დაბრკოლებებიც. კერძოდ, ბერძნებს დღემდე არ დაუწყიათ ზოგიერთი მნიშვნელოვანი სპორტული მოედნის მშენებლობა, ყოველკვირეულად იცვლება ჟურნალისტთა და ოლიმპიადის სტუმართა განსახლების გეგმა, მაყურებელთათვის თუ გულშემატკივართათვის მზად არ არის სასტუმროები. ასევე არასაკმარისია სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალურ პირთა სასტუმროებში განსათავსებელი ნომრების რაოდენობა, არაა შემუშავებული ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვის პროგრამა. ჯერაც გადაუწყვეტელია ინფრასტრუქტურასთან და ტელეკომუნიკაციებთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი დამხმარე მუშაკთა ნაკლებობას განიცდის. ნაცვლად 65 ათასი ადამიანისა, მუშაობას ჯერჯერობით 22 ათასი შეუდგა.

მათგან განსხვავებით, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას სრული სერიოზულობით ეკიდება ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. მეტიც, ახალგაზრდა ბერები და მორჩილები ორგკომიტეტის დახმარებას უკვე შეუდგნენ, რათა ოლიმპიური თამაშების სამშობლო სირცხვილისგან იხსნან.

**ზიზა ზურაბაშვილი**

## სოფტბოლი

# რამაზ გოგლიძე საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია

**17-20 ნოემბერს** ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პლანტ სიტიში გაიმართა სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. ამ თავყრილობაზე ქართველთათვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ეს ფაქტი ჩვენთვის იმითაცაა განსაკუთრებული, რომ რამაზ გოგლიძე პირველი ქართველი სპორტული მოღვაწეა, რომელმაც საერთაშორისო სტრუქტურებში ასეთი მაღალი თანამდებობა დაიკავა.



სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა: გენერალური მდივანი ენდი ლოპნერი, ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე და პრეზიდენტი დონ პორტერი

# ზიბზიბაძე თაბაშირის მოხსნას და ვიზას ელის



თედო ზიბზიბაძე

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების შუამარბმა, 21 წლის თედო ზიბზიბაძემ უკვე კარგა ხანია, ბორჯღალოსანთა ძირითად შემადგენლობაში მყარად მოიკიდა ფეხი. მან საფრანგეთის და სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებებთანაც ჩვეული ჯიგრით ითამაშა და ბევრი თავსატეხი გაუჩინა მეტოქის მცველებს. თუმცა ახალგაზრდა და მეტად ნიჭიერ ქართველ მორაგბეს აფრიკელებთან ბრძოლა ბოლომდე არ დასცალდა და უკვე პირველივე ტაიმის მიწურულს შესაცვლელი შეიქნა. მიზეზი კი მხრის ტრავმა გახდა. მატჩის შემდგომ ბორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი შიშობდა, რომ ზიბზიბაძეს მხრის ამოვარდნილობა ჰქონდა და მინიმუმ ექვსი თვით დააკლდებოდა გუნდს, მაგრამ სორელის ვარაუდი არ გამართლდა. ზიბზიბაძე არც ისე სერიოზულად დაშავებულა, როგორც თავიდან ეგონათ. თედო ახლა მშობლიურ ქუთაისშია და იქ იშუშებს ტრავმას.

— თავიდან მეც მეგონა, რომ დიდ სირთულეებთან გვქონდა საქმე. ვიფიქრე, ხელი მომტყდა ან მხარი ამომვარდა, მაგრამ საბედნიეროდ, ექიმებმა სულ სხვა რამ მითხრეს. თურმე მხარი მელრძო, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მყესი დამეჭიმა. ახლა თაბაშირი მადევს, რომელსაც ორ კვირაში მომხსნიან.

**— თაბაშირს კი მოგხსნიან, მაგრამ ვარჯიშს როდის დაიწყებ?**

— ვარჯიშსაც მაშინვე დავიწყებ. ისე მითხრეს, თაბაშირის მოხსნისთანავე სრულიად ჯანმრთელი იქნებიო.

**— ტრიბუნიდან არცთუ კარგად ჩანდა ის მომენტი, როცა ტრავმა მიიღე-**

— მეტოქეს შებოჭვას ვუპირებდი, როდესაც გვერდიდან სხვა დამეჯახა. საშინლად მეტკინა, მაგრამ როგორც გითხარით, ისეთი საგანგაშო არაფერია, რაგბის კარგა ხნით ჩამოვშორდე.

**— შენი აზრით, როგორ ითამაშა ნაკრებმა ბოლო ორი მატჩი?**

— ორივე მეტოქესთან კარგად ვითამაშეთ. ისე, ორივე ერთობ რთული მატჩი იყო. განსაკუთრებით აფრიკელებთან. ძალიან ძლიერი მორაგბეებით გვესტუმრნენ.

**— სამხრეთაფრიკელებთან გამარჯვების შანსი თუ გვქონდა?**

— არა მგონია. მართალია, ჯეროვანი წინააღმდეგობა გავუწიეთ, მაგრამ მათი დამარცხება ამ ეტაპზე ძალიან ძნელი საქმეა. სამაგიეროდ, ნათლად დავინახეთ, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბლომად გვაქვს. დრო მოვა და ბევრ ძლიერ ნაკრებს გავამწარებთ.

**— ფრანგებთან და აფრიკელებთან დაცვის ცენტრში შენი მეწყვილე კახა ალანია იყო, რომელმაც ტრავმირებული ვასილ კაცაძე შეცვალა. ხომ არ გაგჭირვებია მასთან საერთო ენის გამონახვა?**

— არა. მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს მოედანზეც და მის გარეთაც. კახა ჩინებული პიროვნება და ძალიან კარგი მორაგბეა.

**— შენს კლუბ „მაზამეში" როგორ მიგდის საქმეები?**

— საკმაოდ კარგად. მუდამ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ, ისევე როგორც ჩემი თანაგუნდელები დავით ბოლღაშვილი და მალხაზ ურჯუკაშვილი. მწვრთნელიც ძალიან კმაყოფილია ჩვენით და შეიძლება ითქვას, „მაზამეს" წამყვანი მორაგბეები ვართ. ერთი ეგ არის, რომ არცთუ კარგი პირობები გვაქვს. საშუალოზე დაბალი ხელფასი დაგვინიშნეს და ოჯახის ჩაყვანის საშუალებასაც არ გვაძლევენ. ამჟამად „მაზამე" „ფედერალ 1" ლიგის მეხუთე ადგილზე იმყოფება. უფრო მაღლა ასვლას ამ სეზონში ვერ მოვახერხებთ, ვინაიდან კლუბი ფინანსურად ვერ არის მთლად მყარად და შესაბამისად შემადგენლობაც სხვებზე სუსტი ჰყავს.

**— რაგბის გარდა სხვა სამუშაოთი ხომ არ ხარ დაკავებული?**

— არა. სხვა საქმიანობისთვის არც მცალია. მე, ურჯუკაშვილს და ბოლღაშვილს კი შემოგვთავაზა კლუბის ხელმძღვანელობამ შემოსავლის სხვა წყარო, მაგრამ უარს ვეტყვით, ვინაიდან ეს არ ჯდება ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში. თუ ვიმუშავეთ, მაშინ ვარჯიშს იმდენ დროს ვერ დავუთმობთ, რამდენიც საჭიროა.

**— ტრავმა კლუბში ხომ არ შეგიშლის ხელს?**

— არა მგონია. ახლა ვიზის გაგრძელებას ველოდები. როგორც კი საფრანგეთში ჩასვლის ნებას დამრთავენ, მაშინვე გავემგზავრები და კლუბს შევუერთდები.

**ბაჩო სვანიძე**



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

20 ნოემბერი

**ოტავა 3:0 ვანკუვერი (1:0 1:0 1:0)**
1:0 სალო 7(1), 2:0 ფიშერი 30(3), 3:0 ალფრედსონი 47(10)

**ფილადელფია 3:3 ნიუ ჯერსი (2:1 1:1 0:1 0:0)**
0:1 ჰოლიკი 12(7), 1:1 უილიამსი 13(5), 2:1 ლეკლერი 19(10), 3:1 ლეკლერი 28(11), 3:2 ელიაში 32(11), 3:2 ჰოლიკი 57(8)

**დეტროიტი 6:3 ნეშვილი (1:1 1:0 4:2)**
0:1 გრიმსონი 7(1), 1:1 შენაჰანი 8(14), 2:1 შენაჰანი 29(15), 3:1 დრეიპერი 44(5), 3:2 რონინგი 45(4), 3:3 რონინგი 51(5), 4:3 მოლტბი 52(2), 5:3 დრეიპერი 56(6), 6:3 შენაჰანი 59(16)

**მონრეალი 3:2 ბოსტონი (0:2 1:0 2:0)**
0:1 აქსელსონი 8(2), 0:2 როლსტონი 18(9), 1:2 პერო 33(8), 2:2 რუჩინსკი 53(2), 3:2 დაკელი 57(5)

**ტამპა 3:2 ანაჰაიმი (0:2 2:0 1:0)**
0:1 კარია 2(7), 0:2 კარია 10(8), 1:2 ილონენი 28(2), 2:2 პრისპალი 31(6), 3:2 კლაიმერი 58(6)

**ედმონტონი 2:0 სენტ ლუისი (1:0 1:0 0:0)**
1:0 ბრიუერი 13(2), 2:0 ჰეხტი 21(7)

**რეინჯერსი 5:3 კოლორადო (3:1 2:1 0:1)**
1:0 სამუელსონი 9(1), 1:1 რაინბრეხტი 14(2), 2:1 ფლერი 14(9), 3:1 მალახოვი 20(3), 4:1 სამუელსონი 22(2), 5:1 ციგერი 29(5), 5:2 ფუტი 34(1), 5:3 ტრეპანიე 60(2)

**კალგარი 5:5 ლოს ანჯელესი (1:2 4:1 0:2 0:0)**
0:1 რ. რობიტაილი 3(3), 1:1 იგინლა 9(17), 1:2 სმოლინსკი 13(4), 2:2 სავარი 28(3), 3:2 ნიკოლი 30(3), 4:2 იგინლა 31(18), 4:3 რ. რობიტაილი 37(4), 5:3 პეტროვიცკი 40(3), 5:4 ელისონი 45(3), 5:5 პალფი 49(7)

**ფინიქსი 2:1 მინესოტა (0:0 1:0 0:1 1:0)**
1:0 მეი 32(3), 1:1 გაბორიკი 47(16), 2:1 ლემიე 65(6)

# რუა ანერვიულეს, დააბნიეს და მაგრად დაასველეს

**„პირველმა** გაშვებულმა გოლმა ამანერვიულა, მეორის შემდეგ მთლიანად გამეფანტა ყურადღება და თამაშზე კონცენტრაცია ველარ შევძელი. ალბათ, მეორე შაიბის შემდეგ შეცვლა უნდა მომეთხოვა" — პატრიკ რუას ეს სიტყვები თავის მართლებად არ უნდა ჩაეთვალოს. ცხადია, სამი ბრწყინვალე მატჩის შემდეგ კოლორადოს სახელოვან მეკარეს ძალიან უნდოდა, ზედიზედ მეოთხე შათაუტი მიეთვალა, მაგრამ იგი ერთმა ბევრისთვის უცნობმა „რეინჯერმა" არ დაინდო. მე-9 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც რიცხვმრავლობაში მყოფი სტუმრები შეცდნენ და მათი არაზუსტი პასის შემდეგ ნიუიორკელთა დებიუტანტი სამუელსონი რუასთან პირისპირ აღმოჩნდა. პატრიკი კარიდან გამოვიდა და შაიბის წართმევა სცადა, მაგრამ შვედმა წამით დაასწრო. ასე დასრულდა „ეველანშის" მეკარის არაჩვეულებრივი მშრალი სერია, რომელმაც 192 წუთსა და 39 წამს გასტანა. სამუელსონმა კი ლიგაში პირველი გოლი მიითვალა.

ამით განაწყენებულმა რუამ თამაშისადმი ინტერესი სრულიად დაკარგა. ფლერის გოლი მთლიანად მის სინდისზეა — ბორტთან შაიბა ვერ დაიმორჩილა და ტეოსაც გატანა არ გასჭირვებია. აქვე ვიტყვით, რომ ნიუორკელთა „FLY-LINE" სამეულმა მესამე გოლსაც ჩაუყარა საფუძველი და საბოლოოდ ფლერიმ, ლინდროსმა და იორკმა კიდევ 5(1+4) ქულით გაიმდიდრეს მარაგი.

ალბათ, აქ კოლორადოელთა მწვრთნელ ბობ ჰარტლის რუა უნდა გამოეცვალა, მაგრამ ვერ გარისკა. ეს მხოლოდ 29-ე წუთზე მოიფიქრა, ამ დროისთვის კი ანგარიში უკვე 5:1 იყო და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი გახლდათ.

„ამაზე უკეთ ვერ ვითამაშებდით. ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო წლეულს" — ეს სიტყვები ეკუთვნის ნიუ ჯერსის თავკაც ლარი რობინსონს, რომლის გუნდმაც ფრე შემთხვევით მოიპოვა. 57-ე წუთზე ბობი ჰოლიკის დარტყმის შემდეგ შაიბა ფილადელფიელ დენ მაკჯილისს შეეხო და რომან ჩეხმანეკი უძლური გამოდგა. და მაინც, ნიუ ჯერსიმ მართლაც ჩინებულად ითამაშა. ზედიზედ სამი მარცხით გამწარებული „ეშმაკები" სრულიად ბატონობდნენ ფილადელფიურ არენაზე. თუმცა ბედი მასპინძლებს სწყალობდა. მათ თითქმის ყველა მომენტი გამოიყენეს, ხოლო ოვერტაიმში პატრიკ ელიაშის დარტყმული შაიბა ჩეხმანეკის კარის ხაზზე გაჩერდა.

სენტ ლუისმა კი, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ შეძლო უხეირო სერიის შეწყვეტა. ზედიზედ მეორედ მას მეტოქეთა მეკარეები აღუდგნენ წინ. ამჯერად ეს ედმონტონელი ტომი სალო (29-ე შათაუტი კარიერაში) იყო, რომელმაც არც ერთი შეცდომა არ დაუშვა. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში განხორციელებული გაცვლის შემდეგ ეს ამ გუნდების პირველი შეხვედრა იყო. ამ გარიგების მთავარმა მონაწილემ, ამჟამად სენტ ლუისის ლიდერმა დუგ უეიტმა აღიარა, რომ ძალიან ღელავდა და ეს დაეტყო კიდეც მის თამაშს.

10 მატჩია, ვერავინ აჩერებს ოტავას. ამ ხნის განმავლობაში მათ 9-ჯერ მოიგეს და ამჯერად არც ვანკუვერი დაინდეს. „სენატორთაგან" საუკეთესო კვლავ დანიელ ალფრედსონი იყო, რომელმაც გოლიც გაიტანა და სამი სალოსაც დაეხმარა ანგარიშის გახსნაში.

ოტავას წაუგებელი მატჩების რაოდენობაში კალგარი მხოლოდ ერთით ჩამორჩება (+6=3-0), თუმცა ამჯერად „ალებმა" თავიანთ თავს უნდა დააბრალონ, რომ მოგების მაგივრად მხოლოდ ქულა მიითვალეს. ბოლო მესამედში ლოს ანჯელესმა იგივე გააკეთა, რასაც თავად კალგარი წლეულს ხშირად აკეთებს — „მეფეებმა" ორშაიბიანი სხვაობა გააბათილეს, თანაც ზიგმუნდ პალფიმ მატჩის გმირის, რენდი რობიტაილის (2+1) ჩინებული პასის შემდეგ გაათანაბრა. ეს რომ არა, ქება-დიდება კვლავ ჯერომ იგინლას ერგებოდა. სეზონის მთავარ აღმოჩენად მიჩნეულმა ჰოკეისტმა ისევ დუბლი მიითვალა და კიდევ უფრო გაიმყარა ლიდერობა გოლეადორთა და ბომბარდირთა შორის. კალგარის წინსვლის კიდევ ერთმა შემოქმედმა, მეკარე რომან ტურეკმა კი მატჩის წინადღეს საუცხოო თამაშისთვის გუნდის თავკაცებისგან საჩუქარი მიიღო — ახალი 4-წლიანი და 19-მილიონიანი კონტრაქტი, რითაც ლიგის გოლკიპერთა ელიტაში დაიმკვიდრა ადგილი. თუმცა გამდიდრებულ ჩეხს ლოსანჯელესელებმა ოდნავ გაუფუჭეს ხასიათი.

დეტროიტი ისეა დარწმუნებული თავის სიძლიერეში, რომ ხანდახან თავს ნებას აძლევს, მეტოქეებს კატათაგვობანა ეთამაშოს. ამჯერადაც ჩემპიონატის ლიდერმა ნეშვილს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, მაგრამ 12 წამში ისევ დაწინაურდა, ხოლო მატჩის მიწურულს ბრენდან შენაჰანმა ჰეთ თრიქისთვისაც მოიცალა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ნიუ იორკიდან

რეინჯერსი — კოლორადო. რეინჯერსელი ზდენო ციგერი და შაიბა პატრიკ რუას კარში ერთად შეფრინდნენ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 21 | 12 | 2 | 3 | 4 | 62:46 | 29 |
| ოტავა | 20 | 12 | 2 | 0 | 6 | 67:45 | 26 |
| ბოსტონი | 21 | 10 | 3 | 2 | 6 | 51:48 | 25 |
| მონრეალი | 20 | 9 | 2 | 1 | 8 | 45:52 | 21 |
| ბუფალო | 22 | 8 | 1 | 1 | 12 | 55:57 | 18 |
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| რეინჯერსი | 23 | 14 | 1 | 1 | 7 | 69:63 | 30 |
| აილენდერსი | 20 | 12 | 2 | 1 | 5 | 56:47 | 27 |
| ფილადელფია | 20 | 10 | 4 | 0 | 6 | 60:43 | 24 |
| პიტსბურგი | 20 | 8 | 3 | 2 | 7 | 43:47 | 21 |
| ნიუ ჯერსი | 19 | 8 | 2 | 2 | 7 | 49:54 | 20 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 24 | 11 | 3 | 2 | 8 | 58:59 | 27 |
| ტამპა | 19 | 7 | 1 | 1 | 10 | 37:44 | 16 |
| ვაშინგტონი | 20 | 7 | 2 | 0 | 11 | 48:61 | 16 |
| ფლორიდა | 21 | 5 | 2 | 3 | 11 | 42:60 | 15 |
| ატლანტა | 20 | 4 | 2 | 2 | 12 | 40:76 | 12 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 22 | 18 | 0 | 1 | 3 | 80:53 | 37 |
| ჩიკაგო | 22 | 12 | 4 | 0 | 6 | 66:60 | 28 |
| სენტ ლუისი | 20 | 9 | 3 | 1 | 7 | 50:45 | 22 |
| ნეშვილი | 21 | 7 | 3 | 0 | 11 | 54:62 | 17 |
| კოლუმბუსი | 21 | 5 | 4 | 0 | 12 | 41:62 | 14 |
| **ჩრდილო დასავლეთი** | | | | | | | |
| ედმონტონი | 23 | 14 | 3 | 1 | 5 | 67:43 | 32 |
| კალგარი | 20 | 13 | 3 | 2 | 2 | 60:40 | 31 |
| კოლორადო | 22 | 10 | 1 | 0 | 11 | 44:46 | 21 |
| ვანკუვერი | 23 | 9 | 2 | 0 | 12 | 59:62 | 20 |
| მინესოტა | 21 | 7 | 4 | 2 | 8 | 53:66 | 20 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 21 | 9 | 4 | 3 | 5 | 59:53 | 25 |
| ფინიქსი | 21 | 9 | 3 | 3 | 6 | 52:51 | 24 |
| დალასი | 21 | 7 | 4 | 3 | 7 | 49:56 | 21 |
| ანაჰაიმი | 21 | 6 | 3 | 0 | 12 | 47:57 | 15 |
| ლოს ანჯელესი | 21 | 5 | 3 | 2 | 11 | 55:60 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩუქარი

გახსოვთ ბელგრადის „ობილიჩი“, 1995 წელს თასების მფლობელთა თასზე „ბათუმს“ რომ შეხვდა? მაშინ „ბათუმმა“ ბელგრადში 1:0 მოიგო, ბათუმში კი 2:2 ითამაშა და შემდეგ ეტაპზე გავიდა. სწორედ იმ „ობილიჩის“ პრეზიდენტი გახლავთ ქალბატონი სვეტლანა რაჟნიატოვიჩი, ბალკანური ომის მონსტრის, ა⁻ანის ქვრივი, რომელსაც თავისი გუნდი ბოსნიის სერბეთში ჩაუყვანია და იქ, ბანია ლუკაში, ადგილობრივ „ბორაცთან“ მეგობრულად უთამაშებია. როგორც ფოტოდან ჩანს, სვეტლანა რაჟნიატოვიჩმა მატჩის შემდეგ საგანგებო საჩუქარი უძღვნა ბოსნიელი სერბების პრეზიდენტს ზორან ტესანოვს.



REUTERS





# დივაიზე მოჭიდავენი

ინდოეთში, კერძოდ კალკუტაში, უფრო ზუსტად კი მის ქუჩაში დივაის დღესასწაულის პ⁻ოგრამით გათვალისწინებული ამბავი გაიმართა. ეს ამბავი ქალთა ჭიდაობაა, ხოლო რინგი სახელდახელოდაა აგებული.



REUTERS

# შაკი შაკია

ნბა-ში ერთადერთი დერბია, ლოსანჯელესური, „კლიპერსი“, „ლეიკერსის“ წინააღმდეგ. ამჯერად გაიმარჯვა „ლეიკერსმა“ 98:93. ფოტოზე ცენტრების, „ლეიკერსის“ შაკილ ონილისა და „კლიპერსის“ მაიკლ ოლოვოკანდის ორთაბრძოლას ხედავთ. ონილმა ცრუმოძრაობა გააკეთა, ოლოვოკანდი ახტუნა და მერე...

# საამზადისი

ჰ⁻ბარტი გახლავთ ავსტრალიის კუთვნილი კუნძულის, ტასმანის დედაქალაქი, სადაც კრიკეტის ტესტ-შეხვედრა უნდა გაიმართოს. ერთმანეთს ავსტრალია და ახალი ზელანდია უნდა დაუპირისპირდნენ. ახალზელანდიელები უკვე იქ არიან და ემზადებიან. აი, ლუის ვინსენტი როგორ ხტება.





REUTERS





REUTERS

# ჰოკეია, ჰოკეი

გრძელი ვირი არ გეგონოთ, ეს ჰოკეია, თან უმაღლესი შესრულებით — ნჰლ-ს გუნდები „სენტ ლუისი“ და „ედმონტონი“ ხვდებიან ერთმანეთს. ედმონტონმა 2:0 მოიგო. ახლა, ვინ ვინ არის: სულ უკან, სენტლუისელთა 37 ნომერი ჯეფ ფინლია, რომელიც ედმონტონელ ეტან მოროს მიხტომია, მორო თავის მხრივ სენტლუისელ ტაისონ ნეშზეა ამხედრებული, ხოლო, თუ კარგად დააკვირდებით, ნეშის ფეხებში მის თანაგუნდელ მეკარე ბრეტ ჯონსონსაც აღმოაჩენთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge